# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 11 აგვისტო, 2012 წელი.

№153 (7029)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## სტიქიით დაზარალებულ „ოცნების“ წევრებს დახმარებაზე უარს ეუბნებიან



3

ბიძინა ივანიშვილის მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხა, რომელიც მან სტიქიით დაზარალებული კახეთის მცხოვრებლებისთვის ჩარიცხა, სტიქიით დაზარალებულ ბევრ მოსახლემდე ჯერაც არ მისულა.

## განა აღმოჩენაა, რომ რუსეთი ომისთვის კარგა ხნით ადრე ემზადებოდა?

2



## ქართველებმა ყურადღება არ გაამახვილეს მედვედევ-პუტინის „დატაკებაზე“ და მხოლოდ პუტინის სიტყვები გაიმეორეს

3

## კრეგ სმიტი: „როცა ადამიანები პასუხის გაცემისგან თავს იკავებენ, ისინი ოპოზიციას უჭერენ მხარს“

4

## ალტერნატიული არხები არჩევნების შემდეგაც უნდა დარჩეს!



## რატომ არის ხაზინა ცარიელი?

11



## მილიარდერი სააკაშვილის წინააღმდეგ

8

## მავნებელია თუ არა სურსათის დანამატები?

9



პოზიცია

# განა აღმოჩენაა, რომ რუსეთი ომისთვის კარგა ხნით ადრე ემზადებოდა?

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ის, რომ რუსეთი ომისთვის კარგა ხნით ადრე ემზადებოდა, აღმოჩენა არ არის და „ამ მარტივი სიცრუით ხელისუფლება საკუთარი დანაშაულისა და უმეცრების დამალვას ცდილობს“.**

2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენები კოალიციის ლიდერმა კიდევ ერთხელ გუშინ, ურეკში ყოფნისას შეაფასა და აქვე განმარტა, რომ 7 და 8 აგვისტოს ამ საკითხზე ანალიზის გაკეთებას შეგნებულად მოერიდა.

**„მოდით, გავაანალიზოთ ის, თუ რა მოხდა ამ დღეს, რატომ მოხდა ეს უბედურება და კიდევ ერთხელ ვუპასუხოთ ამ საკითხზე ხელისუფლების სპეკულაციებს. ის, რომ მათ ყველაზე დიდი დანაშაული, ყველაზე დიდი უმეცრება ჩაიდინეს 8 აგვისტოს, რაც კი სააკაშვილს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს შეიძლებოდა ჩაედინა, ეს გამოჩნდა. ახლა სააკაშვილი და მისი იდეოლოგები ამბობენ, რომ რუსეთი დიდი ხნით ადრე ემზადებოდა ამ ომისთვის. ეს ისედაც აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და ამის აღმოჩენით ხელისუფლება უბრალოდ ცდილობს, ეს ომი გაამართლოს. დიახ, ეს საკამათო არ არის, რუსები ომისთვის რამდენიმე წლით ადრე ემზადებოდნენ და განვავრცობ — საუკუნეებით ადრეც ემზადებოდნენ და სურდათ თავისი გეოპოლიტიკა, უშიშროება გაემყარებინათ და კავკასიის იქეთ გადმოსულიყვნენ; რუსეთი არ არის ერთადერთი მეზობელი და ახლომყოფი სახელმწიფო, ვისაც გარკვეული სურვილები ამოძრავებს ჩვენი ტერიტორიების მიმართ. შესაბამისად, ღია კარის მტვრევა და მტკიცება, რომ რუსები დიდი ხანია, ემზადებოდნენ ომისთვის, ვერ გამოდგება გასამართლებლად. ეს არ არის აღმოჩენა და ამ მარტივი სიცრუით ხელისუფლება სურს, საკუთარი დანაშაული და უმეცრებები დამალოს“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, რუსეთი ომის დასაწყებად რეალურ საბაბს ელოდებოდა, რა მოლოდინიც სააკაშვილმა გაუმართლა.

**„რუსეთს არ გაუზრდია არმია, არაფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებია, რომ საქართველოსთან ომი ეწარმოებინა, მაშინ რას ელოდებოდა, რატომ ერთი ან ორი წლით ადრე არ დაიწყო ის“ — ელოდებოდა მიზეზს, ელოდებოდა რეალურ საბაბს. ეს მოლოდინი სააკაშვილმა გაუმართლა. სააკაშვილმა გაუკეთა ყველაფერი, რასაც რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში ელოდა და მისცა საშუალება, საქართველოს ტერიტორიაზე ჯარი შემოეყვანა“,** — აღნიშნა „ქართული ოცნების“ ლიდერმა.

ამასთან, ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილმა ცხინვალში ომი **„საკუთარი სავარძლის გამაგრებისთვის“** დაიწყო.

**„7 ნოემბრის მშვიდობიანი დემონსტრაციის დაშლისა და დამოუკიდებელ ტელევიზიაში შეჭრის შემდეგ, რასაც საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მკაცრი რეაგირება მოჰყვა, სააკაშვილი იძულებული გახდა, გადამდგარიყო, თუმცა ახალი არჩევნებით მაინც მოვიდა არალეგიტიმურად, რადგან ის გააყალბა. სააკაშვილი ეძებდა გამოსავალს, როგორ გაემაგრებინა საკუთარი სავარძელი. გამოსავალში მას რუსი მზვერავებიც დაეხმარნენ, რამდენადაც აწვდიდნენ ინფორმაციას, რომ რუსეთს საქართველოს ინტერესი აღარ ჰქონდა. სააკაშვილი ფიქრობდა, რომ თუ ოსეთს აიღებდა, სავარძელს გაიმაგრებდა“,** — განაცხადა ივანიშვილმა, რომლის აზრითაც, აგვისტოს ომამდე საქართველოს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით არსებული პრობლემის „წინ წაწევის“ შანსი ჰქონდა.



გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ ლიდერის შეფასებით, ომის დროს გამოჩნდა, რომ საქართველოს ხელისუფლების მენეჯმენტი ნულის ტოლი იყო.

**„თვითონ ომის პროცესსაც თუ გავაანალიზებთ, დაუშვებელია ჩვენი მხედართმთავრის მოქმედება — ლამის მომარაგების გარეშე მიატოვეს ჯარისკაცები, ისინი ტერიტორიიდან არ გამოჰყავდათ, არ მკურნალობდნენ. ყველაფერში გამოჩნდა, როგორი მენეჯმენტი იყო. ხელისუფლებამ პროცესების მართვა ვერ შეძლო. ახლა იძახიან, რუსები შევაჩერეთ თბილისში რომ არ შემოვიდნენო. მაშინ ურეკში ვიყავი და ვიცი, ფოთში ისე შემოდიოდნენ, აღარც ჯარისკაცი იდგა და აღარც პოლიცია. სადაც მოუნდებოდათ რუსებს, იქ შევიდოდნენ. თუ მოუნდებოდათ თბილისამდეც ჩამოვიდოდნენ და არაფრის შემჩერებელი არ იყო სააკაშვილი. ამით უბრალოდ ცდილობს, მოგვატყუოს“,** — დასძინა ბიძინა ივანიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

არჩევანი თუ არადანი?

# რა დავალება მისცა პრეზიდენტმა ვარშალომიძეს?

## ცნობილი ანდაზის პერიფრაზირებით თუ ვიტყვით, აჭარაში არჩევნებისას ისე ხომ არ მოხდება, რომ ხელისუფლება ბჭობდა და ხალხი კი იცინოდა?



**პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ლევან ვარშალომიძეს ახალი დავალება მისცა. აჭარის მთავრობის მეთაურს აჭარაში საპარლამენტო არჩევნების მოგება, კერძოდ, კი ბათუმში გიორგი ბარამიძის სასარგებლოდ მუშაობა დაევალა.**

როგორც ცნობილია, აჭარაში მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატების შერჩევა მთლიანად ლევან ვარშალომიძის ერთპიროვნული პრეროგატივაა. ამაში ნაციონალური მოძრაობის არც ერთი წარმომადგენელი არ ჩარეულა.

ვარშალომიძემ ბათუმის გარდა ყველა მაჟორიტარის კანდიდატურა პირადად შეარჩია. სწორედ მან დაასახელა და პრეზიდენტთან შეათანხმა შუახევის, ხულოს, ქედას, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მაჟორიტარობის კანდიდატები.

თავდაპირველად გიორგი ბარამიძის კანდიდატურის დაყენებას ნაციონალური მოძრაობა დიდუბეში აპირებდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. არადა, დიდუბეში მოსახლეობასთან რამდენიმე შეხვედრაზე ნაციონალებმა თქვეს, რომ ამ რაიონში სწორედ ბარამიძის კანდიდატურა იქნებოდა დასახელებული. მას შემდეგ რაც ბარამიძის რეიტინგი გაზომეს, მიხვდნენ, რომ ევროინტეგრაციის საკითხებში გამოცდილ მინისტრს დიდუბეში მაინცდამაინც დიდი შანსი არ ჰქონდა. ამის შემდეგ მისი კანდიდატურის დაყენება ბათუმში გადაწყვიტეს. რამდენად კარგი სასტარტო პირობები აქვს ბათუმში ბარამიძეს, ეს მეორე საკითხია, თუმცა, მთელი ადგილობრივი ხელისუფლება რომ მის დასახმარებლად იმუშავებს, ეს ცხადია.

აჭარაში იმაზეც საუბრობენ, რომ ბათუმში „ქართული ოცნების“ ხალხმრავალმა აქციამ ხელისუფლების წარმომადგენლები საკმაოდ დააფიქრა, აქვთ თუ არა მათ აჭარის რაიონებში გამარჯვების რეალური შანსი.

**From.ge**
**For.ge**

საარჩევნო სია

# შემცირების ნაცვლად... გაზრდა?!

**ბოლო წლების განმავლობაში არჩევნების გაყალბების ძირითად მექანიზმად ამომრჩეველთა გაბერილ სიას ასახელებენ, რის გამოც ხელისუფლება და ოპოზიციას შორის ამ სიაზე მუდმივად კამათობენ. თუკი იმას გავითვალისწინებთ, როგორ პოულობდნენ ამ სიაში 10, 20 და 30 წლის წინათ გარდაცვლილებს, როგორ აძლევდნენ ხმას საზღვარგარეთ მყოფნი საქართველოს ტერიტორიაზე, ოპოზიციის ეს დავა და უკმაყოფილება გასაკვირიც აღარ არის. ამიტომაც, საარჩევნო სიები მუდმივად დავის საგანს წარმოადგენდა.**

ამომრჩეველთა სიის გასწორებაზე საუბარი ჯერ კიდევ შარშანწინ დაიწყო, როდესაც ე.წ. „რვიანმა“ საარჩევნო პრობლემების მოგვარება მოისურვა. შეგახსენებთ, რომ მაშინ სხვადასხვა მეთოდი მუშავდებოდა, თუ როგორ უნდა გასწორებულიყო ეს სია და საბოლოოდ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოსახლეობის აღწერის მოთხოვნაც კი დასახელდა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლებამ ამაზე უარი თქვა.

მერე „რვიანიც“ დაიშალა და ხელისუფლებამ ე.წ. ამომრჩეველთა სიების დამდგენი კომისია შექმნა, რომელსაც იმ დროისთვის ხელისუფლებასთან უკვე კონსტრუქციულ დიალოგში მყოფი „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე ჩაუყენა სათავეში. რა თქმა უნდა, ამ დროისთვის ხელისუფლებას უკვე „აღარ ახსოვდა“, რომ მანამდე ძალიან ცოტა ხნით ადრე „ახლები“, ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, კატეგორიულად ითხოვდნენ თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნას და ხელისუფლება მათ ამისთვის არაკონსტრუქციულებად მოიხსენიებდა.

კონსტრუქციულად ქცეული კაციტაძის კომისიის დახმარებით კი ცესკომ ორი დღის წინ ამომრჩეველთა ერთიანი სია გამოაქვეყნა, სადაც, შემცირების ნაცვლად, ამომრჩეველთა რაოდენობა გაზრდილია და მეტი მოქალაქეა შეყვანილი, ვიდრე წინა არჩევნებზე როდესმე ყოფილა.

ცესკოს მონაცემებით, საქართველოში 3 621 256 ამომრჩეველი ყოფილა, რომლებიც 84 საარჩევნო ოლქზე არიან გადანაწილებულნი.

მაგრამ, როგორც საარჩევნო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „საარჩევნო პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი კახი კახიშვილი ამბობს, ეს რაოდენობა არარეალურია და ამას ორ მთავარ პრობლემას



უკავშირებს. ეს არის შიდა მიგრაციის და საზღვარგარეთ მცხოვრებთა საკითხი.

მისი თქმით, შიდამიგრაციის პრობლემა იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ადამიანები ვერ ახერხებენ საცხოვრებელ ადგილზე ჩაწერას იმ პრობლემის გამო, რომ პირადობის მოწმობის აღება ჯდება 35 ლარი და ეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის პრობლემას წარმოადგენს.

„ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ამ პრობლემის მოგვარებისთვის არაფერს აკეთებს, რადგან არ აწყობს, რომ ამ კატეგორიამ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. თავის მხარდამჭერებს კი პრობლემებს უგვარებენ. ჩვენთან არჩევნების შედეგების შეჯამება ხდება კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით. ამიტომაც ასეთი ვითარება აწყობს ხელისუფლებას, რადგან ეს ხდება წარმატების გარანტია მისთვის“, — ამბობს კახიშვილი.

მეორე პრობლემა კი, მისივე თქმით, საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქეებს უკავშირდება და მიაჩნია, რომ ამ მხრივაც ხელისუფლების მხრიდან არ არსებობს პოლიტიკური ნება, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს, რადგან ისევ თავის სასარგებლოდ იყენებს.

მისი თქმით, საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა რომ არ გართულებულიყო, ადამიანები გაივლიდნენ ამ რეგისტრაციას, რადგან ისინი ამ ეტაპზე მოტივირებულნი არიან, რომ არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა და ამით მიახლოებით მაინც იმით დაინტერესდებოდა, თუ რამდენი ადამიანი იმყოფება საზღვარგარეთ და ერთიან სიაში მათი გვარის გასწვრივ გაკეთდებოდა აღნიშვნა, რაც მათი ხმების გამოყენების საშუალებას გამორიცხავდა.

„ახლა კი ისეთი ვითარებაა, რომ, თითქოს ეს 3 მილიონ 600 ათასი ადამიანი საქართველოში იმყოფება, რაც, ჩემი აზრით, ძალიან არარეალურია“, - ამბობს კახიშვილი.

**თეონა ხარაბაძე**
**For.ge**

ნაცების ხელწერა



# სტიქიით დაზარალებულ „ოცნების“ წევრებს დახმარებაზე უარს ეუბნებიან

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ კახეთში სტიქიით დაზიანებული 3500-ზე მეტი სახლის სახურავი უკვე გადახურულია და დანარჩენიც უახლოეს დღეებში გადაიხურება. კოალიცია „ქართული ოცნების“ კახეთის რეგიონის კოორდინატორი ირაკლი ქადაგიშვილი კი ამბობს, რომ სახურავების გადახურვა მხოლოდ ერთ-ერთი სეგმენტია იმ ღონისძიებებისა, რაც კახეთში მოსახლეობისთვის სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად უნდა განხორციელდეს.**

შეგახსენებთ, „ქართული ოცნების“ კახეთის რეგიონის მაჟორიტარობის კანდიდატებმა „კარდაკარის“ პრინციპით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების მონიტორინგი დაიწყეს, რისი შუალედური შედეგებიც დღეს წარმოადგინეს. მათი თქმით, თავად მაჟორიტარები სტიქიით მიყენებული ზარალის აღრიცხვას აწარმოებენ და საბოლოო შედეგს დაახლოებით ერთ კვირაში დადებენ.

**„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატების განცხადებით, ის თანხა (80 მილიონი ლარი), რომელიც ბიძინა ივანიშვილმა სახელმწიფო ბიუჯეტში სტიქიით დაზარალებულების დასახმარებლად გადარიცხა, სრულიად საკმარისია იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც კახეთის რეგიონს მიადგა.**

„ქართული ოცნების“ კახეთის რეგიონის კოორდინატორი, ირაკლი ქადაგიშვილი ამბობს, რომ პრობლემა გაცილებით ღრმა არის, ვიდრე ხელისუფლებამ ის შეაფასა.

**„მათი შეფასება იყო ემოციური და გათვლილი იმაზე, რომ საკმარისი იქნებოდა, ამ ადამიანებისთვის მხოლოდ სახლების სახურავების გადახურვა, გარკვეული საყოფაცხოვრებო ნივთების და ჰიგიენური საშუალებების მიწოდება, მაგრამ რეალური სურათი გაცილებით უფრო მძიმეა, რადგან სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ძალიან დაზიანებულია. ჩვენი გათვლებით, საშუალოდ თითოეული ოჯახი 8-10 ათასი ლარით დაზარალდა“,** — აცხადებს ქადაგიშვილი.

ირაკლი ქადაგიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის პოლიტიკური ნიშნით გარჩევა მოხდა. კერძოდ, მისი თქმით, თუკი ადამიანი „ქართული ოცნების“ მხარდაჭერაში არის შემჩნეული, მას ან სახლის გადახურვის რიგში არ აყენებენ, ან სხვა მსგავს პრობლემებს უქმნიდნენ. იგივეს ამბობს გურჯაანში კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატი მანანა ბერიკაშვილი. მისი განცხადებით, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ეუბნებიან - ბიძინა ივანიშვილი დაგეხმაროთო.

**„როდესაც მოვა ხელისუფლებაში, ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად დაეხმარება ამ ადამიანებს, მაგრამ აქ მხოლოდ სტიქიაზე არ არის საუბარი, სოფლად ხალხი უმძიმეს მდგომარეობაში ცხოვრობს. ჩვენ თუ არ მივხვდებით, რომ ჩვენი ქვეყანა ორ ძირითად ფუნდამენტს ეფუძნებოდა — გლეხის მარჯვენას და კულტურას, არაფერი გამოგვივა. ფაქტიურად სოფელი გადაგვარებისკენ მიდის და თუ ასე გაგრძელდა, სოფელი დაიცლება. ამიტომ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ვაიძულოთ ხელისუფლება, ეს დახმარება ხალხთან მივიდეს, თუ არადა, ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ეს აუცილებლად მოხდება“,** — აცხადებს მანანა ბერიკაშვილი.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხა, რომელიც მან სტიქიით დაზარალებული კახეთის მცხოვრებლებისთვის ჩარიცხა, სტიქიით დაზარალებულ ბევრ მოსახლემდე ჯერაც არ მისულა.

თელავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გელა სამხარაული აღნიშნავს, რომ თელავის რაიონი ყველაზე მეტად დაზარალდა, ვინაიდან უშუალოდ ქალაქიც მოყვა სტიქიის ზონაში და სოფლებიც. სამხარაულის განცხადებით, თუკი ქალაქის შემთხვევაში მხოლოდ საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობები მოყვა სტიქიის ზონაში, სოფლებში ეს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებსა და სავარგულებსაც შეეხო. შესაბამისად, ზარალის ოდენობაც განსხვავებულია.

**„ჩვენს მიერ აღრიცხული მონაცემების თანახმად, ქალაქის შემთხვევაში თითოეული ოჯახისთვის მიყენებული ზარალი საშუალოდ 3000 ლარს შეადგენს, სოფლად კი საშუალოდ 8-10 ათასი ლარის ფარგლებში მერყეობს. მე საშუალო მონაცემებზე ვსაუბრობ, თორემ არის ოჯახები, რომლებმაც წლები მოანდომეს ვენახის, თუ რაიმე სხვა მრავალწლიანი კულტურის მოშენებას, ამაზე უამრავი ენერგია და თანხა დახარჯა და ზოგიერთი ოჯახის ზარალი 50 ათასი ლარსაც შეადგენს და მეტსაც“,** — ამბობს გელა სამხარაული.

**„მოქალაქეები იმდენად სოლიდარულები არიან, რომ მაგალითად თელავში, იმ ოჯახებში, სადაც ზარალი მართლაც შეიძლება 300 ლარამდე თანხით ანაზღაურდეს, ამ ოჯახებმა ანკეტაც კი არ შეგვავსებინეს, გვითხრეს, რომ თავის თავს თვითონვე მიხედავენ, ჩვენ კი მოგვიწოდეს იმ მოსახლეობას დავეხმაროთ, ვინც უფრო მეტად დაზარალდა. აქვე გეტყვით, რომ ის 80 მილიონი, რომელიც ბატონმა ბიძინამ გადაწყვიტა ირიბი ფორმით შეეტანა სახელმწიფო ბიუჯეტში ამ ხალხისთვის დახმარების გასაწევად, ამ მიზნისათვის სრულიად საკმარისია. ხელისუფლებამ კი ამის შემდეგ კახეთის მოსახლეობისთვის სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის თანხა გაზარდა, ანუ დაასახელა სულ სხვა მონაცემები, ვიდრე იყო ის, რაც ბატონი ბიძინას მიერ ამ თანხის გაღებამდე იყო მათ მიერ ნათქვამი. ეს გაკეთდა იმისთვის, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ეს თანხა საკმარისი არ არის“,** — აღნიშნავს სამხარაული.

„ქართული ოცნების“ წევრები ხელისუფლებას მოუწოდებენ, რეალურად შეაფასოს კახეთისთვის მიყენებული ზარალი და აანაზღაუროს იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილის დაპირების თანახმად, მისი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული და ზარალი სრულად ანაზღაურდება.

**ნინო ჟღენტი**

ინფორმაცია

# აბსოლუტურად უკანონო მოთხოვნა

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, კახა კალაძის დაჯარიმებისა და მისი ქონების დაყადაღების თაობაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნა „აბსოლუტურად გასულია კანონის ჩარჩოდან“. როგორც „ინტერპრესნიუსს“ აღნიშნული საკითხის კომენტირებისას საია-ს თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილმა განუცხადა, კანონმდებლობა აუდიტის სამსახურს შესაბამის უფლებამოსილებას არ აძლევს.**



**„გუშინვე, როცა ცნობილი გახდა, რომ აუდიტის სამსახური კალაძეს პირად ანგარიშებზე თანხის დაბრუნებას სთხოვდა, მაშინვე ვთქვით, რომ ეს იყო აბსოლუტურად უკანონო მოთხოვნა, რადგან კანონმდებლობა ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობაზე ჯარიმის დაკისრების და დამატებით სხვა სახის სანქციის გამოყენების მოთხოვნაც უკანონოა. კანონმდებლობა აუდიტის სამსახურს არ აძლევს უფლებამოსილებას, ჯერ პირს ანგარიშზე თანხის უკან დაბრუნება მოსთხოვოს და შემდეგ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო მის წინააღმდეგ ხუთმაგი ოდენობის ჯარიმა მოითხოვოს. ეს ყველაფერი აბსოლუტურად გასულია კანონის ჩარჩოდან“, — აღნიშნა ჩუგოშვილმა, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ აუდიტის სამსახურის მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს.**

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თბილისის საქალაქო სასამართლოს კახი კალაძის მიმართ 17 მილიონი ლარის ჯარიმის გამოყენებისა და უძრავ-მოძრავი ქონების დაყადაღების მოთხოვნით მიმართა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ კალაძის ადვოკატმა შალვა თადუმაძემ განუცხადა, აღნიშნული ფაქტი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის მიერ საკუთარ ანგარიშებზე თანხის დაბრუნების მოთხოვნის შეუსრულებლობას უკავშირდება.**

ინტერპრესი

აი, დედასა!

# ქართველებმა ყურადღება არ გაამახვილეს მედვედევ-პუტინის „დატაკებაზე“ და მხოლოდ პუტინის სიტყვები გაიმეორეს

**„თქვენ ხომ ქართველები ხართ, წყალსაც წაუღიხართ!“ —ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას ერთ-ერთი რუსული სააგენტო, რომელიც 2008 წლის 8 აგვისტოს და ოთხი წლის შემდგომ ამბებს ეძღვნება. „რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებამ სამხრეთ ოსეთთან ომის მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებაში მძაფრი რეაქცია გამოიწვია. თბილისში დაასკვნეს, რომ ამჯერად საკითხი — ვინ არის 2008 წლის სისხლისღვრაში დამნაშავე, შეიძლება დახურულად ჩაითვალოს. სწორი პასუხია — რუსეთი და კონკრეტულად პუტინი“,** — წერს სააგენტო.

**„ფილმი „8 აგვისტო, 2008 წელი. დაკარგული დღე“ თავისებური ინტერპრეტირებას უკეთებს მაშინდელ მოვლენებს. პუტინმა არ უარყო, რომ იცოდა ამ ფილმის არსებობის შესახებ და როდესაც დაისვა საკითხი ომის დაწყების შესახებ პუტინმა განაცხადა, რომ ჩვენ მზად ვიყავით და თანაც, რამდენიმე ხნის წინათო. პუტინმა დაადასტურა, რომ ის ნამდვილად რეკავდა კრემლში 7 და 8 აგვისტოს და მედვედევს და გენშტაბის უფროს სერდიუკოვს ეკლაპარაკებოდა.**

მედვედევი, რომელსაც არ სურდა „საქართველოს დამარცხების ლავრის“ დაკარგვა, აცხადებდა, რომ მან პუტინისგან დამოუკიდებლად მიიღო ომის დაწყების გადაწყვეტილება.

გენერლებზე, კი რომლებმაც ის მერყეობასა და სიმხდალეში დაადანაშაულეს და ფილმში განაცხადეს, რომ მხოლოდ პუტინის ზარის შემდეგ გახდა ოსეთში სამხედრო ოპერაციების დაწყების შესაძლებლობა, მედვედევმა განაცხადა: **„მათ ან არ იციან, ან შეგნებულად ტყუიან“** — წერს სააგენტო.

სააგენტოს აზრით, ქართულმა მხარემ პუტინ-მედვედევის — დატაკებაზე ყურადღება არ გაამახვილა, სამაგიეროდ ყურადღება დაუთმო მარტო პუტინის სიტყვებს. ქართული მხარის კომენტატორებმა ყურს იქით გაუშვეს პუტინის განცხადების კიდევ ერთი ფრაზა — როდესაც ის 2006-07 წლის წინასწარ შემუშავებული ომის გეგმებზე საუბრობს, აღნიშნავს, რომ ეს „ქართული აგრესიის გამოხატულების“ შედეგად მოხდა.

**„პრეზიდენტმა სააკაშვილმა, 2008 წლის აგრესიისადმი მიძღვნილი ღონისძიების დამთავრებისას ემოციები ველარ შეიკავა. „მაშინ, როდესაც ეს ადამიანი გამოდის ამბობს, რომ ეს მე გავაკეთე და ის ამით ამაყობს, არსებობენ ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც გაურკვევლობას თესენ და ერთიდაიგივე კითხვას სვამენ, იდიოტის გარდა ამ შეკითხვას არავინ დასვამს — ვინ დაიწყო ეს ომი?**

გამოსვლის დამთავრებისას კი პრეზიდენტმა სააკაშვილმა პოლიტიკურ ოპონენტებს შეუძახა: **„შეიძლება თქვენ არ მოგწონდეთ ეს მთავრობა და სააკაშვილი, მაგრამ წყალსაც წავუღივარ მეც და ყველაც, არ უნდა იყოს განსხვავება თქვენსა და პუტინს შორის? ის პუტინია, თქვენ კი ქართველები ხართ!“,** — წერს სააგენტო.

სააგენტო ეხმაურება უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის გიგა ბოკერიას განცხადებასაც.

**„გიგა ბოკერია თვლის, რომ პუტინის „ღია და თავხედური“ აღიარება „ყურადღებას იმსახურებს“. ასეთი დეტალური აღწერა, რომ 2006 წელს არსებობდა გეგმა, რომელიც პირადად პუტინის მიერ იყო დამტკიცებული და რომლის მიხედვითაც ისინი ცხინვალის რეჟიმის კრიმინალურ დაჯგუფებებს ამზადებდნენ, აქამადე არ ყოფილა. პარადოქსულია, რომ დღესაც ზოგიერთი ინერციის მიხედვით კამათობს იმაზე, ვინ იყო აგრესორი“,** — აღნიშნავს ინტერნეტ-გამოცემა.

**For.ge**



## გამოკითხვა

**ამერიკულმა კომპანია „Penn Schoen Berland“-მა დაასრულა საქართველოს მოსახლეობის აზრის კვლევა. 3-15 ივლისს გამოიკითხა 1980 ამომრჩეველი, რომლებიც 1 ოქტომბერს მონაწილეობას მიიღებენ საპარლამენტო არჩევნებში.**

**კვლევის დროს გამოყენებულ იქნა „ფარული ბიულეტენის“ მეთოდოლოგია: ამომრჩევლებს დაუსვეს შეკითხვა, რომელსაც მას რეალურ საარჩევნო ბიულეტენში უსვამენ. ამ მეთოდით რესპონდენტი აკეთებს არჩევანს, ბიულეტენს ათავსებს კონვერტში და ლუქავს. ამის შემდეგ დალუქულ კონვერტს დებს შავ, გაუმჭვირვალე პარკში, რათა ინტერვიუერებმა არ იცოდნენ, თუ რა არჩევანი გააკეთა რესპონდენტმა. ეს მეთოდიკა გამოიყენეს ამომრჩევლის შიშის ფაქტორის შესამცირებლად, რაც არაერთხელ აღნიშნეს მკვლევარებმა და ანალიტიკოსებმა საქართველოში.**

**კვლევა გვიჩვენებს, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ ერთი პუნქტით უსწრებს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. კერძოდ, „ქართულ ოცნებას“ გამოკითხულთა 42 % უჭერს მხარს, ხოლო მმართველ პარტიას — 41%. სხვა პარტიებმა 8 % დააგროვეს. კვლევის თანახმად, ამომრჩეველთა 4% — „ქრისტიან-დემოკრატებს“, 3% — „ლეიბორისტულ პარტიას“, 1% კი „ახალ მემარჯვენეებს“ დაუჭერდა მხარს.**

**კვლევის მიხედვით, „ქართულ ოცნებას,“ რომელიც თბილისში ლიდერობს, დედაქალაქში 55 წელს გადაცილებული ამომრჩეველი ჰყავს. ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ჰყავს ამომრჩეველი, ასევე, მისი მხარდამჭერია 30 წლამდე მოსახლეობა. როდესაც რესპონდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია ძირითადი ლიდერების შესახებ, „ქართული ოცნების“ ლიდერის უპირატესობა 1-დან 9 პუნქტამდე გაიზარდა (46 % - „ქართული ოცნება“, 37 % — ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“).**

ნაწილობრივ ამის მიზეზი ბოლო დროს მთავრობის მიერ „ქართული ოცნების“ და მისი წევრების შევიწროებაზე ამომრჩევლების ნეგატიური დამოკიდებულებაა. **ამომრჩევლების 81 %-ს მიაჩნია, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვის შემდეგ, მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა სახელმწიფოს მხრიდან მცდარი ნაბიჯი იყო და, რომ მას უნდა დაუბრუნდეს მოქალაქეობა. 63 %-ს მიაჩნია, რომ ეს ნაბიჯი იმისთვის გადაიდგა, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან ჩამოეშორებინათ.**

## კრეგ სმიტი: „როცა ადამიანები პასუხის გაცემისგან თავს იკავებენ, ისინი ოპოზიციას უჭერენ მხარს“

მთავრობის უკანასკნელი მცდელობები — ნება დაერთო ივანიშვილისთვის, ეწარმოებინა საარჩევნო კამპანია და, ამავდროულად, შეეზღუდა მისი სხვა პოლიტიკური უფლებები — **არ მოსწონს რესპონდენტთა 66 %-ს. მათ მიაჩნიათ, რომ „ეს არის კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ხელისუფლება ზღუდავს ივანიშვილის უფლებებს მოქალაქეობის ჩამორთმევით და ამავდროულად, ქმნის სამართლიანობის ილუზიას“.**

ამომრჩევლების 81%-ს სმენია ივანიშვილზე დაკისრებული ჯარიმის შესახებ. აქედან, **62 %-ის აზრით, „ეს იყო ხელისუფლების მცდელობა, მიესაკუთრებინა ივანიშვილის ფული და გამოეყენებინა თავისი მიზნებისთვის.** ამდენად, ივანიშვილი მართალია, როდესაც უარს ამბობს ჯარიმის გადახდაზე“. **მხოლოდ 21 % ფიქრობს, რომ ჯარიმა სამართლიანია და ივანიშვილმა უნდა გადაიხადოს.**

ზოგადი სიტუაციის მხრივ, ამ კვლევის თანახმად, სურათი ასეთია: **ქვეყანა ვითარდება სწორი მიმართულებით, — ასეთნაირად ფიქრობს 47 % - 43%-ის წინააღმდეგ. ქვეყნის ეკონომიკა ცუდ მდგომარეობაშია — ფიქრობს 49 % — 40 %- წინააღმდეგ.**

ამომრჩევლების 58 %-ს კი მიაჩნია, რომ ქვეყანაში კარდინალური ცვლილებებია საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 60% საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებულ სამუშაოებს დადებითად აფასებს, ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებაა საჭირო. მეტიც, საქართველოს მოსახლეობა ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხით შეშფოთებულია.

სამუშაო ადგილები და ეკონომიკა უმთავრესი პრობლემაა ქვეყნისთვის. **73 %** თვლის, რომ უმუშევრობა უმთავრესი საკითხია ქვეყნის წინაშე, **53 %** ფიქრობს, რომ სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკური განვითარება მთავრობის პრიორიტეტი უნდა იყოს.

საინტერესო ფაქტია, რომ, როდესაც ამომრჩევლებს ჰკითხეს, თუ ვინ მოაგვარებს უკეთესად ახალი სამუშაო ადგილების პრობლემას და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, **ორივე კითხვაზე ბიძინა ივანიშვილი ლიდერობს, 12 პუნქტით** (48 %-36% ორივე კითხვაზე).

საზოგადოებას სულ უფრო მეტად აწუხებს დემოკრატიისა და თავისუფლების თემა — **4-დან 1 ადამიანი ამართლებს ხელისუფლების ქმედებებს დემოკრატიზაციის მიმართულებით; 5-დან 1-ზე ნაკლებს მიაჩნია, რომ ხელისუფლება გამჭვირვალეა თავის ქმედებაში.**

**ცნობისთვის: „პენ შონ ბერლანდი“ მსოფლიოში მარკეტინგულ კვლევებს აწარმოებს, მუშაობს ასზე მეტ ქვეყანაში. ისეთ კორპორაციებთან თანამშრომლობს, როგორიცაა: მაიკროსოფტი, ინტელი, ფორდ მოტორსი. რაც შეეხება პოლიტიკურ არენას, „პენ შონ ბერლანდი“ ჩართული იყო 30-ზე მეტი სახელმწიფოს საარჩევნო კამპანიაში, მათ შორის, პრეზიდენტ ბილ კლინტონის, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის და იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის საარჩევნო კამპანიებში. სწორედ „პენ შონ ბერლანდი“ იყო ნიუ-იორკის მერის მაიკლ ბლუმბერგის და ჰილარი კლინტონის მრჩეველი.**

შეგახსენებთ, აღნიშნული კვლევა „პენ შონ ბერლანდმა“ ჩაატარა „ევროპული პლატფორმა საქართველოში დემოკრატიის განვითარების (Eglbud“-ის დაკვეთით.

For.ge „პენ შონ ბერლანდის“ ხელმძღვანელს კრეგ სმიტს ესაუბრა, რომელიც თავის დროზე თეთრ სახლში პრეზიდენტ კლინტონის ასისტენტად და თეთრი სახლის პოლიტიკურ დირექტორად მუშაობდა და პრეზიდენტ კლინტონისა და პირველი ლედის პოლიტიკურ აქტივობას კოორდინაციას უწევდა. მისი თქმით, აღნიშნულ განსხვავებულ მეთოდოლოგიას (ანუ შიდა დალუქულ ტესტს) ისინი მხოლოდ იმ ქვეყნებში იყენებენ, სადაც ამომრჩევლების დაშინების მაღალი დონეა, ან, სადაც იმ მოსახლეობის დიდი რაოდენობაა, რომლებიც ცდილობენ, პასუხი არ გასცენ დასმულ შეკითხვებს.

**„ამ მეთოდოლოგიის არსი ის არის, რომ „ვავიწროებთ“ იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც უარს აცხადებენ პასუხის გაცემაზე,“** — აცხადებს კრეგ სმიტი.

საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის შემდეგ კი კრეგ სმიტი დარწმუნდა, რომ საქართველოში ახალგაზრდობა უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი მომავლის მიმართ, ვიდრე ასაკოვნები.

იხ. 8 გვ.

## ინფორმაცია



### სავიზო რეჟიმი, შესაძლოა, წლის ბოლომდე გაუქმდეს

**ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე რამდენიმე დღის წინათ, საქართველოში ვიზიტად მყოფმა ისრაელის ტრანსპორტის მინისტრმა განაცხადა.**

**ისრაელის სახელმწიფოს ტრანსპორტის, ეროვნული ინფრასტრუქტურისა და საგზაო უსაფრთხოების მინისტრმა ისრაელ კატსამ ქვეყნის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიასთან შეხვედრისას საქართველოსა და ისრაელს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმების აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი განცხადებით, ეს განპირობებულია არა მხოლოდ ორი ქვეყნის ისტორიული მეგობრობით, არამედ თანამედროვე გამოწვევებითაც.**

**„სავიზო რეჟიმის გაუქმებამ უნდა გაზარდოს მგზავრთა გადაადგილება საქართველოსა და ისრაელს შორის, რომელიც დადებითად აისახება ორი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობებზე“, — განაცხადა ისრაელ კატსმა.**

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის უვიზო რეჟიმის შესახებ ხელშეკრულება 2012 წელს გაფორმდეს.**

ინტერპრესი

## ხალხი ითხოვს!

**2012 წლის საპარლამენტო არჩევნების თარიღის გამოცხადებიდან მეოთხე დღეს ზუგდიდში მოქმედმა ერთადერთმა საკაბელო ოპერატორმა კომპანიამ თავის 300-მდე აბონენტს დამატებით ის ქართული არხები შესთავაზა, რომლებიც ადრე მათთვის მიუწვდომელი იყო.**

ოპერატორი კომპანიის მიერ განხორციელებული ცვლილება „მასტ ქერის“ პრინციპს უკავშირდება, რომელიც, „საარჩევნო კოდექსში“ შესული ცვლილებების თანახმად, საკაბელო კომპანიებს არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების დღემდე სამაუწყებლო ბადეში ყველა ტელეარხის ჩართვას ავალდებულებს.

ტელე-რადიო კომპანია „ოდიშის“ მფლობელობაში არსებული ზუგდიდის ერთადერთი საკაბელო მაუწყებელი 2004 წლიდან ფუნქციონირებს და მისი მომსახურება თვეში 12 ლარს შეადგენს. „ოდიშის“ გენერალური დირექტორის დავით გრიგოლიას განცხადებით, 4 აგვისტოს ჩართული ხუთი ახალი ქართული არხი ხელმისაწვდომია მხოლოდ ქალაქში მცხოვრები აბონენტებისთვის:

**„ჩაირთო ხუთი არხი: „TV-9“, „მაესტრო“, „რეალ-ტვ“, ბათუმის „25-არხი“ და „რუსთავი 2“-ის დანამატი. თუკი ვინმე მოგვმართავს კიდევ სურვილით, მზად ვართ, რომ ჩავრთოთ. აბონენტი ბევრი გვყავს, მაგრამ ჩართული აქვს 300-მდე აბონენტს. ჩვენ ვფარავთ მარტო ქალაქს“**, — განაცხადა დავით გრიგოლიამ.

რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, რომლებიც „მრავალარხიანი ტელეკომპანიის“ აბონენტები არ არიან, შესაძლებლობა აქვთ, ზემოხსენებული არხები სატელიტური თეფშების საშუალებით ნახონ.

თბილისში რომ ჩავდიოდი, სულ ამ არხებს ვუყურებდი, სიმართლეს ამ არხებიდან თუ გაიგებ...

ხელოსანი ალიკო გულაავა, რომელიც სატელიტურ თეფშებს რამდენიმე წელია ამონტაჟებს, რადიო თავისუფლებას უყვება, რომ მოქალაქეს ერთი სატელიტური თეფშის მონტაჟი საშუალოდ 100 ლარი დაუჯდება. მისივე განმარტებით, ამ თანხაში შედის თეფშის, მონტაჟისა და სხვა ტექნიკურად საჭირო აპარატურის ღირებულება. ალიკო გულაავას თქმით, მასთან ახლა მომხმარებლები თეფშების დამონტაჟების თხოვნით იშვიათად მიდიან:

**„უამინდობის გამო იწვება ძალიან ბევრი აპარატი და ძირითადად ამაზე ვმუშაობ, სატელიტური თეფშების მონტაჟი ახლა ყველამ ისწავლა, ბავშვებიც კი ამონტაჟებენ. ეს შეკეთება ვერ ისწავლეს. ამას მე ვაკეთებ“,** — ამბობს ალიკო გულაავა.

რადიო თავისუფლების მიერ ზუგდიდის ქუჩებში გამოკითხულ მოქალაქეებს სურვილი აქვთ, ახალი ქართული არხები არჩევნების შემდეგაც ხელმისაწვდომი იყოს, რადგან, მათი თქმით, ტელე-არხები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების საკუთრებაა. შესაბამისად, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ახალი არხების ჩართვის შემდეგ ისინი მეტად ინფორმირებულები იქნებიან: „იყოს, ძალიან კარგი არხებია. მე სულ ამ არხებს — „მაესტროს“ და „მე-9 არხს“ — ვუყურებ.“

## ალტერნატიული არხები არჩევნების შემდეგაც უნდა დარჩეს!



აუცილებელია, ეს არხები დარჩეს. მარტო ერთი პარტიის აზრი კი არ უნდა იყოს გასაგები, სხვა პარტიების აზრიც იყოს და მერე ჩვენ ავირჩევთ, რომელია მისაღები და რომელი არა ...

**„თბილისში რომ ჩავდიოდი, სულ ამ არხებს ვუყურებდი, სიმართლეს ამ არხებიდან თუ გაიგებ. აბა, „რუსთავი 2“-დან სიმართლეს ამოჭრიან და გაუშვებენ რაღაცას.“**

**„სურვილი მაქვს, რომ მქონდეს და ვუყურო ამ არხებს, ბევრი ინფორმაცია მოდის. მაინტერესებს, რა ხდება. ყველანაირი ცხოვრება მაინტერესებს.“**

**„აუცილებელია ეს არხები დარჩეს. მარტო ერთი პარტიის აზრი კი არ უნდა იყოს გასაგები, სხვა პარტიების აზრიც იყოს და მერე ჩვენ ავირჩევთ, რომელია მისაღები და რომელი არა“,** — ამბობენ მოქალაქეები.

რადიო თავისუფლების კითხვაზე, მოქალაქეთა სურვილის შემთხვევაში დატოვებს თუ არა დამატებულ ხუთ ქართულ არხს ზუგდიდში მოქმედი საკაბელო ოპერატორი, დავით გრიგოლიამ განაცხადა, რომ ქსელში ჩართვის მსურველებს მათთვის ჯერ არ მიუმართავთ, რაც, მისი ვარაუდით, იმის ნიშანია, რომ მოქალაქეებს დამატებით არხების ჩართვის სურვილი არ აქვთ.

**ცნობისთვის: 4 აგვისტომდე სამეგრელოში მცხოვრებთა დიდი ნაწილისთვის ქართული არხებიდან მხოლოდ „იმედი“, „რუსთავი 2“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „მე-2 არხი“, „აჭარის ტელევიზია“ და ადგილობრივი ტელეარხი „ოდიში“ იყო ხელმისაწვდომი.**

**თამარ ზანთარაია,**
რადიო „თავისუფლება“

განსჯა

# შერეკილები

ცნობილი ამბავია, შერეკილები ყველა დროსა და ყველა ეპოქაში იწვევდნენ საზოგადოების ინტერესს (მათზე ფილმებიც კი არის გადაღებული), მაგრამ ასეთი მასშტაბებით, როგორც დღეს, არასოდეს. საინტერესოა ისიც, რომ შერეკილები, ადგილობრივნი იქნებიან ისინი თუ უცხოელნი, მუდამ გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. თუმცა აქვე არ შემიძლია არ შევნიშნო, რომ ჩვენებური შერეკილები, ქართული გენისა თუ სხვა რამ ნიშნის წყალობით, უცხოელი კოლეგებისგან მაინც გამოირჩევიან პიარის კეთების, ტყუილფრქვევისა და ბაქიბუქის იგავმიუწვდომელი ნიჭიერებით, ამერიკულ-ევროპული განსწავლულობით, ქვეყნის რეფორმატორული აღმშენებლობის განუმეორებელი უნარით.

დიახ, რეალობას სად გავექცევით, ქართველი შერეკილები მთელ მსოფლიოში ყველაზე ჯანმრთელი (ფსიქიკურად) და ყველაზე გონიერი (ლოგიკურად) შერეკილები არიან, რომლის დაუნახაობა, ჩვენი მხრივ, მართლაც დიდი უმადურობა იქნებოდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ხელისუფლებაში თავმოყრილ შერეკილებზე, რომლებიც იმ მიზეზით, რომ სახელმწიფომ თავის დროზე უსახსრობის გამო ვერ უმკურნალა, იქ არა სხედან, სადაც უნდა ისხდნენ. ცნობილი მეცნიერებისა და ფსიქიატრების განმარტებით, ამავე მიზეზით, დღეს საქართველოს ხელისუფლებასა და პოლიტიკურ პარტიებში პარლამენტის უმრავლეს-უმცირესობაში, უფრო მეტ შერეკილს შევხვდებით, ვიდრე საშერეკილეთში.

ცალკეულ ექსპერტთა აზრით, ეს დიდ საშიშროებას უქმნის ქართული სახელმწიფოს სტაბილურობასა და დემოკრატიულ განვითარებას (იმის მიუხედავად, რომ მისი მაღალი დემოკრატიულობა მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ აღიარა), რასაც მე პირადად კატეგორიულად არ ვეთანხმები. არ მესმის რატომ უნდა ვემდუროდეთ შერეკილებს, რომლებმაც ამ ეკონომიკურად დამშეულ და დაქცეულ ქვეყანაში ქუჩაში უსაქმურად ხეტიალს პოლიტიკოსობა, ჩინოვნიკობა, გნებავთ, დეპატატობა ამჯობინეს, ფული იშოვეს, ცხოვრება-ქონება დააგროვეს, სხაპასხუპა ინგლისური დაიმასქნეს და ქვეყნის მართვა-გამგებლობაში უანგაროდ ჩაებნენ.

ახლა ასეთ შერეკილებს, რომელთაგან პარტიათა ლიდერებიც გამოირჩეკნენ, სახელმწიფო მოღვაწენიც, პარლამენტარებიც, არასამთავრობოელებიც და ოპოზიციონერებიც, რით დაუმტკიცებ, რომ ნამდვილად შერეკილები არიან და არა ეროვნული მოღვაწენი? რადგან ვერ დაუმტკიცებ, არც ის უნდა გაგიკვირდეს, რომ იმათგან ზოგს პარლამენტის სპიკერობა მოუნდეს, ზოგს – პრემიერობა და ზოგსაც – პრეზიდენტობა, თანაც ერთი და ორი ვადით კი არა, მუდმივად(!). მაშ როგორ, აბა გავიხსენოთ, რა თქვა გიჟმა, როცა ქორწილში შევიდა?!.

შერეკილებს, რა თქმა უნდა, ვერ დავავალდებულებთ, ახსოვდეთ, რა თქვა გიჟმა, როცა ქორწილში შევიდა (მაშინ შერეკილებიც აღარ ერქმეოდათ), მაგრამ ხალხს შესანიშნავად ახსოვს, როგორი გულუხვი დაპირებები მისცა მათ სააკაშვილმა, როცა ხელმწიფის ტახტზე აღსაზევებლად ემზადებოდა: თუ პრეზიდენტად ამირჩევთ, გაძლევთ გაუტეხელ სიტყვას, რომ ახლო მომავალში დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებ, ქვეყანას სასწაულებრივად ავაყვავებ, ისეთ ცხოვრებასა გწევთ, ევროპელებიც კი დაგნატროდნენო. მაგრამ, რადგან ყველაფერი პირიქით მოხდა – ქვეყანა აყვავების ნაცვლად დაიქცა, დაკარგულ ტერიტორიებს ახალიც მიემატა, უმუშევრობამ კლების მაგივრად კიდევ უფრო იმატა, ქვეყნად უსამართლობამ და სიღატაკემ იმძლავრა, ბევრმა მარტივად მოაზროვნე ადამიანმა, არც თუ უსაფუძვლოდ, სახელისუფლებო ელიტის პერსონაჟები უფრო ქოსატყუილებს, შარლატანებსა და შერეკილებს მიამსგავსა, ვიდრე ქვეყნის აღმშენებლებს. ხალხში ეს აზრი კიდევ უფრო განამტკიცა სააკაშვილის ამისწინანდელმა განცხადებამ, რომ ჩვენი ცალკეული მინისტრები და მაღალჩინოსნები (მაგალითად, ადეიშვილი, მერაბიშვილი და სხვები) არც მეტი, არც ნაკლები, უბრალოდ, თურმე „გალღეტილები არიან“(!).



თავს უფლებას ვერ მივცემ, პრეზიდენტს შევედავო და ვუმტკიცო, რომ ხელისუფლებაში გალღეტილები არა გვყავანან, მაგრამ ავტოკრატები? არც ისინი, რაღა თქმა უნდა. „რა ავტოკრატია? – კითხულობს ოპონენტთა თავგასულობით შეშფოთებული სააკაშვილი, – მართლა ხომ არ ბნელა, ღია კარს რომ ვამტვრევთ. სად არის საქართველოში თავისუფალი აზრის შეზღუდვა? გაქვთ თქვენი აზრი ? – გამოთქვით. გინდათ მიტინგის ჩატარება? – ჩაატარეთ. გინდათ ვიღაცის ლანძღვა? – მლანძღეთ რამდენიც გინდათ. აბსოლუტური იმუნიტეტი გამოვიმუშავე ყოველნაირი შეურაცხყოფის მიმართ. ყოველთვის ვუსმენ კრიტიკულ აზრს“.

ნეტარდემოკრატი პრეზიდენტი პირადად ადევნებს თვალს, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები წინასაარჩევნო პერიოდში. თურმე იმიტომაც დააყადაღა ხელისუფლებამ „გლობალ TV“-ისა და „მაესტროს“ ანტენები, საერთოდ, სატელიტური ანტენები, რომ „ერთიანი ნაცმოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ მომხრე ტელემაყურებლებს ინფორმაციის განსხვავებული ოდენობით მიღების საშუალება არ მიეცეთ. ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაზე მომუშავე კომისიამაც იმიტომ დახუჭა თვალები ზოგიერთ უზუსტობაზე, რომ იმქვეყნად წასულთა და კარუსელის მოყვარულთ არც ამჯერად შეეზღუდოთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. აბა როგორ, თუ დემოკრატიაა, დემოკრატია იყოს!

ერთი კია, როცა საქმე არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას და სახელისუფლებო სკამების განაწილებას ეხება, ხშირად შერეკილები თავს ვერ იჭერენ, მოუთმენლობას ამჟღავნებენ და ზოგჯერ ტირანის როლშიც გვევლინებიან (გავიხსენოთ სააკაშვილის მიერ ამ დღეებში გაკეთებული განცხადება: „მეტი საქმე არა მაქვს, ჩემს მიერ აშენებული ქვეყანა თქვენ გადმოგაბაროთ და დაგანგრევინოთ!“), რაც საზოგადოებას თავსტეხი პრობლემების წინაშე აყენებს.

ასეთ დროს როგორ უნდა მოვიქცეთ? არა მგონია, გონივრული იყოს შერეკილების მასობრივი სტუმრობით სასჯელაღსრულების ისედაც გადატვირთული დაწესებულებები კიდევ უფრო გადავტვირთოთ, თუნდაც ეს დაწესებულებები მათივე აშენებული იყოს. ჩვენებურ პროფესიონალ შერეკილებს ქვეყნისა და ხალხის წინაშე იმდენი დანაშაული კი მიუძღვით, რომ საარჩევნო მარცხის შემდეგ მათივე ძმაკაცი ფარმაცევტული კომპანიების მიერ ხელსაყრელ ფასებში მიცემული დემოკრატიული პრეპარატებით იმკურნალონ.

**ოთარ ხუციშვილი**

სამეგრელოს მხარე

# „ყველაზე ოპტიმალური გზა ქართველებისა და აფხაზების დაახლოებისა არის ბიზნესი“

**ზუგდიდის ენგურსგაღმა სოფელ განმუხურში მდებარე არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ (ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი) ორი შეხვედრა გამართა სხვადასხვა ჯგუფთან.** ერთი შეხვედრა დაფინანსებული იყო საქართველოში შვეიცარიის საელჩოს, ხოლო მეორე საქართველოში ლიტვის საელჩოს მიერ. ამ შეხვედრების თემა იყო ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენა ეკონომიკური თანამშრომლობის გზით. შეხვედრებს ესწრებოდნენ ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულნი არიან ე.წ. ერთობლივ ბიზნესში, კერძოდ, ენგურს გაღმიდან გადმოსულები ენგურს გამოღმა იძენენ სხვადასხვა საქონელს, ყიდულობენ, ყიდიან და ეწევიან ერთობლივ სავაჭრო საქმიანობას. **„ასეთმა ურთიერთობამ ბევრს მისცა სტიმული ჩართულიყვნენ ამგვარ ბიზნესში – სწორედ ეს იყო ამ შეხვედრებზე განხილვის თემა, სადაც მოწვეულმა სპეციალისტებმა დამსწრეთ გააცნეს ამ ერთობლივი ბიზნესსაქმიანობის გზები და შესაძლებლობები. ყველაზე ოპტიმალური გზა ქართველებისა და აფხაზების დაახლოებისა არის ბიზნესი“,** – თქვა რეზო ბენდელიანმა.



უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდში უკვე რამდენიმე წელია არსებობს საოჯახო სასტუმრო, რომელიც ემსახურება აფხაზეთიდან გადმოსულებს. აქ მათ შეუძლიათ ღამის გათევა, დასვენება, კვება, ნავაჭრი საქონლის შენახვა და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზუგდიდში და გალის რაიონის სოფლებში – ოტობაიასა და ნაბაკევში გახსნილია საინფორმაციო ცენტრები, სადაც ყველა მსურველს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებით, სამწუხაროა, რომ ამის შესახებ არაფერი იციან ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

ინფორმაცია



## ცესკომ სპეციალური ჯგუფის წევრები აირჩია

**ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციების შესრულების მიზნით შექმნილი სპეციალური ჯგუფის წევრები აირჩია.**

**ცენტრალური საარჩევნო კომისია ავღანეთში ორ საარჩევნო უბანს ხსნის. ქართველი ჯარისკაცები არჩევნებში ხმის მიცემას ჰელმანდის პროვინციაში შეძლებენ.**

## სტიქიით დაზარალებულ სოფლებში ხეხილი აყვავდა

**კახეთში, სტიქიით დაზარალებულ სოფლებში ალუბალი, ტყემალი, ალუჩა, ჯონჯოლი და ვაზი აყვავდა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს აგრონომმა შოთა ბერიკელაშვილმა განუცხადა, „დასეტყვილი ვენახის ნამხრევი ორჯერ მაინც უნდა შეწამლონ, რომ ჭრაქით არ დაავადდეს. გარდა ამისა, დაბლა რქაზე კვირტები უნდა შევინარჩუნოთ. მთავარი არის რქა, რომელიც გაზაფხულზე უნდა დავაკავოთ და მოსავალი უნდა მოგვცეს. მწვანე მასა თუ ჭრაქმა დაღუპა, იძულებული იქნება, რომ ის სამომავლო კვირტები განვითარდეს. შედეგად მომავალ წელს მოსავალს აღარ გამოიღებს“.**

**მისივე თქმით, შესაწამლად ბორდოს ნარევი და შაბიამნის ხსნარი უნდა გამოიყენონ.**

## 11 აგვისტოს „თიანეთობა 2012“ აღინიშნება

**თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით 11 აგვისტოს, დაბა თიანეთში სახალხო დღესასწაული „თიანეთობა 2012“ გაიმართება. ღონისძიების მიზანია, რეგიონში იმ ტრადიციების აღდგენა-განვითარება, როგორიცაა ადგილობრივი ფოლკლორი, ხალხური პოეზია, ხალხური სპორტული თამაშები, ხალხური რეწვა, ტრადიციული სამზარეულო და საყოფაცხოვრებო საქმიანობა. ასევე, თიანეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით, სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა.**

**სახალხო ზეიმი დაბა თიანეთში, ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში 11 საათზე, სპორტულ-გასართობი ღონისძიებებით დაიწყება და მთელი დღის მანძილზე გასტანს. დაგეგმილია შეჯიბრი ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში, 12 საათზე კი გაიმართება დოღი.**

## გია ყანჩელს 77 წელი შეუსრულდა

**გუშინ, 10 აგვისტოს, ქართველ კომპოზიტორს, საქართველოს სახალხო არტისტ გია ყანჩელს დაბადებიდან 77 წელი შეუსრულდა. ყანჩელი 1935 წლის 10 აგვისტოს თბილისში დაიბადა.**



**ამჟამად გია ყანჩელი ცხოვრობს ანტვერპენში, მაგრამ კავშირი საქართველოსთან არ გაუწყვეტია. იგი დღესაც ეწევა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას.**

ინტერპრესი

ხრუშჩოვის ინტრიგებმა მიზანს მიაღწია – უმაღლეს ხელმძღვანელობაში ბერიას წინააღმდეგ ამა თუ იმ ზომით ყველა იყო განწყობილი; თუმცა მე არ გამოვრიცხავ, რომ თავდაცვის მინისტრი ბულგანინიც კი თვით 26 ივნისამდე ხრუშჩოვს არ ჩაურთავს დაპატიმრების იდეის განხილვაში. ცკ-ის პრეზიდიუმის სხვა წევრთაგანაც ალბათ არავისთან წინასწარ არ უთათბირია ბერიას შესაძლო დაკავების საკითხის ირგვლივ. უბრალოდ, უბიძგა მალენკოვსა და სხვებსაც „სალავრენტო“ სხდომის გამართვისკენ – ხომ ხედავთ, რომ სულ უფრო მეტ ნებასა და ძალაუფლებას ავლენსო. გამორიცხული არც ისაა, რომ სხდომის უშუალოდ წინა დღეს ნიკიტას შეეძლო კოლეგების შეშინება ცრუ „მონაცემებით, ვთქვათ, „ლავრენტისეულ“ განზრახვაზე შაპორინის „დეკაბრისტების“ პრემიერაზე ყველას დაპატიმრების შესახებ; პარალელურად კი, წვრილმანების ჩატოვებით, უთანხმდებოდა მისდამი ლოიალურ და ბერიასადმი არალოიალურ სამხედროებს, ღირსებისა თუ პატიოსნების ამბებში არცთუ ჩაღრმავებულთ, სამაგიეროდ, მზადმყოფთ თავის თავზე თვით დაკავების ასაღებად.

ისიც გასაგებია, თუ რატომ მიმართა გენერლებს ხრუშჩოვმა. ჯერ ერთი, თავის პერსონალურ შეთქმულებაში „ბნელი“ ჩათრევით (ნაღდად ისე წარუდგენდა ვითარებას, თითქოს დაპატიმრებაზე არსებობს ცკ-ის პრეზიდიუმის ზეპირი სანქციაძ ის მაინც თანამონაწილეობით შებორკავდა სამხედროებსა და მათ მინისტრს ბულგანინს, რითაც, საგანგებო შემთხვევაში მხარდაჭერის გარანტიას იქმნიდა. მეორეც, კრემლში უმაღლეს სამხედროთა გამოჩენა არ იქნებოდა საეჭვო – მერე რა, ეგებ რა ხდება, გამოიძახეს და აგერ, მოვიდნენ! მესამეც, სხდომის დარბაზში გენერლების გამოჩენა უთუოდ მოახდენდა ცკ-ის პრეზიდუმის წევრებზე ნიკიტასათვის საჭირო ეფექტს. ვცადოთ მიმდინარე ამბის ფსიქოლოგიური ნახატის წარმოდგენა.

იწყება სხდომა და მალენკოვი (როგორც მოილაპარაკესძ მკაცრად „მიახტება“ ბერიას; და უცებ დარბაზში მტკიცე იერით შემოდიან შეიარაღებული გენერლები. რას იფიქრებდნენ მალენკოვი, მოლოტოვი, მიქოიანი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი და სხვანი? პირველი, რაც თავში მოუვიდოდათ – არა „რატომ არიან ისინი აქ?“, არამედ „ვის წასაყვანად მოვიდნენ?“. ხრუშჩოვის (და, შესაძლოა, ბულგანინისძ გარდა ხომ არავინ არ იცის გენერალთა მომავალი გამოჩენის თაობაზე. გასაგებია, რომ ყველანი მეტისმეტად იძაბებიან.

ყველანი, გარდა იმისა, ვინც ამ მოსვლის ინიცირება მოახდინა. მშვიდად მარტო ნიკიტაა – ახლა ის აკონტროლებს სიტუაციას და ამის შესახებ ოდენ მან იცის.

ბერიას აცნობებენ დაკავების შესახებ და შოკში მხოლოდ თვითონ კი არა, დანარჩენებიც ვარდებიან – კვლავ ხრუშჩოვის გარდა; ოღონდ ახლა ფსიქოლოგიური მდგომარეობა თვისებრივად სხვაგვარია. მოიხსნა კითხვა „ვის წასაყვანად?“ და ყველანი მყისვე იწყებენ აწონდაწონას – ხომ არ არის ეს გამოსავალი? ლავრენტი მალე მართლაც პირველის როლზე გავა, თანაც ის ენერგიული და მაგარი ყმაწვილია... კიდეც მოგვქაჩავს, ჩვენს პორტრეტებსაც აღლუმებზე აღარ ჩაატარებენ და საერთოდაც... ასე რომ, რაკი სიტყვა ნათქვამია, წაიყვანონ და მერე ვნახოთ.

ნიკიტას გათვლა ზუსტი გახლდათ, საამისოდ არ მოითხოვებოდა არც რუსული გრამატიკის, არც უმაღლესი მათემატიკის ცოდნა; და რაკი „ლპ“ მოიცილა, როგორც რეალური ძალა, არ გასჭირვებია კოლეგების დარწმუნება, რომ საერთოდაც უნდა მოიშორონ – თუკი ცკ-ის პლენუმის მხრივ სერიოზული შეწინააღმდეგება არ იქნება, პლენუმი კი მაქსიმალურად მალე უნდა მოიწვიონ.

ამ „ანტიბერიულ“ პლენუმზე ცალკე წიგნის დაწერა შეიძლება, მაგრამ მე მომიწევს ერთი თავით შემოფარგვლა, თან მკითხველს წინასწარ ვაცნობებ, რომ ივლისის პლენუმის ორივე სტენოგრამის ყურადღებიანი ანალიზი თავისთავად ბადებს ეჭვს ბერიას დანაშაულებებში.

მაშინ იმაზე, ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ სახელმწიფოში ფაქტობრივად პირველ კაცზე, იმდენი ცუდი რამ ითქვა, რომ ობიექტურ ანალიტიკოსს არ შეიძლება ეჭვი არ აღეძრას „ბრალმდებელთა“ გულწრფელობასა და სამართლიანობაში. ისინი არც ყოფილან სამართლიანნი... ხოლო გულწრფელობას რაც შეეხება, აქ საქმე უფრო რთულადაა. ალბათ, ყველა გამომსვლელი სავსებით გულწრფელი იყო სიხარულის გამოვლენაში, რომ „ლპ“ მოიშორეს; ოღონდ ეს სიხარული ძალიან გვაგონებდა მოსწავლეთა სიხარულს მასწავლებლის ავადმყოფობის მიზეზით გაკვეთილის მოხსნის გამო. „ვაშა! – ყვირიან ნორჩი სულელები – ჩვენ თავისუფლები ვართ!“

„ჰო, – შევნიშნავ მე, – თავისუფლები... ახალი ცოდნისაგან... გონებისა და სულის ამუშავებისაგან... საბოლოო ანგარიშში – ადამიანებად დადგომის შანსისაგან...“

ოღონდ პლენუმის სხდომათა დარბაზში ნორჩები არ შეკრებილან და შეკრებილნი იყვნენ უფროსები გაცილებით სერიოზული საბაბით – ქვეყნის ისტორიიდან განიკვეთებოდა ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევდა ნომენკლატურის იძულებისა, რომ ეშრომათ არა საკუთარი წინსვლისა და აყვავებისთვის, არამედ ეშრომათ სახელმწიფოსა და ხალხის სახელით.

## ცკ-ის პლენუმი ცკ-ის პრეზიდიუმის წევრის გარეშე და „გამოძიება“ გამოძიებაში მყოფის გარეშე

ლავრენტი პავლოვიჩის დაპატიმრების მეორე დღეს, 1953 წლის 27 ივნისს, ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვმა ხელი მოაწერა ცკ-ის პრეზიდიუმის წერილს ცკ-ის წევრებისა, წევრობის კანდიდატებისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებისადმი, ცკ-ის პლენუმის მოწვევის თაობაზე, „პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის სავალდებულო ჩამოსვლის“ წინადადებით. დანიშნულ დროს – 1953 წლის 2 ივლისს – პლენუმი დაიწყო.

დღეს, როცა გაწეულია სწორედ იმ პლენუმზე დაწყებული უზარმაზარი შრომა დიდი სახელმწიფოს გასანადგურებლად, შეიძლება სიმართლის ნაწილის თქმა პლენუმის არსზე და ფონდ „დემოკრატიის“ გამოცემული კრებულის „ლავრენტი ბერია. 1953. დოკუმენტები“ შესავალში შემდეგის წაკითხვა:

„სკკპ-ის ცკ-ის ივლისის (1953 წ.ძ პლენუმზე კოლექტიური ძალისხმევით შექმნილ სახეს სისხლიანი ჯალათისა, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტისა, კარიერისტისა, ინტრიგანისა და ძალაუფლების მოყვარულისა, თავხედისა და დასრულებული გარყვნილის ლავრენტი ბერიასი, აქამდე არ განუცდია რაიმე არსებითი ცვლილებები...“



სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




მარტო ამ ციტატის გაცნობაც საკმარისია იმისთვის, რომ განაცხადო: „ის ბერია, რომელიც დიდი ხანია, ყველასთვის ჩვეულია, მისი გამშავებლების ცილისმწამებლური მონაჩმახი გახლავთ!...“

ფონდი „დემოკრატია“ არც შემდეგ რამეს მალავს:

„პლენუმზე მიმდინარე ამბების ფალსიფიკაცია იწყებოდა უკვე სტენოგრაფიული ანგარიშის მომზადების პირველ სტადიაზე, როცა სიტყვების ავტორები რედაქტირებას უწევდნენ თავიანთი გამოსვლების გაუსწორებელ სტენოგრამას...“

როგორც ვხედავთ, დანაშაულიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ შეიძლება „ლპ“-ის სახის ტოტალური ფალსიფიკაციის ფაქტის აღიარება.

სხვა სიტყვებით, პატივცემულო მკითხველო, არ ყოფილა არც სისხლიანი ჯალათი, არც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი, არც კარიერისტი და ინტრიგანი, არც თავხედი, არც ძალაუფლების მოყვარული და არც დასრულებული ავხორცი.

არ ყო-ფი-ლა!

იყო კაცი... ანგელოზი არა, მაგრამ არც ბოროტმოქმედი; ნამდვილად არა ბოროტმოქმედი.

ბოროტმოქმედი, თანაც კლასიკური, ვერაგი, მიამიტობის მანტიაში გამოწყობილი, იყო ნიკიტა ხრუშჩოვი; და სწორედ ის, იმას მიმხვდარი, რომ ამიერიდან ქვეყნის პატრონი და ნომენკლატურის საყრდენია, ამ პლენუმზე ტკბებოდა პირველის როლით, ორიოდე დღეში რომ გამოსტაცა ცხოვრებას. მან პირველად იგემა უმაღლესი ხელისუფლების სიტკბო და არც მაინცდამაინც აკონტროლებდა თავს...

ნიკიტას ზეიმის გრძნობა განსაკუთრებით, ალბათ, შემდეგ სტრიქონებში გამოიხატა:

„... ინტრიგანია და, რაც მთავარია, სულელებად მიიჩნევს ყველას, ფიქრობს, რომ დიდი მზვერავია, რომ ყველაფერი ესმის... მაგრამ არც ისეთი გულუბრყვილონი აღმოვჩნდით, როგორც ეგონა...“

ხრუშჩოვი ზეიმობდა და ცრუობდა, ცრუობდა და ზეიმობდა და ამ ზეიმობისას წასცდებოდა ხოლმე ისეთი რამ, რაზეც არ უნდა ელაყბა...

მან იმის თაობაზეც გადაამლაშა, თითქოს ბერია „აპატიმრებს“, „იჭერს და იჭერს“... დაპატიმრება „ლპ“-ს შეეძლო მხოლოდ პროკურორის სანქციით (ეგ ნიკიტა სერგეევიჩმა დააკავა ის უსანქციოდ!ძ.

ხრუშჩოვის სიტყვის ნამდვილი სტენოგრამიდან შეიძლება დამატებითი მტკიცებულების ამოღება, თითქოს „ექიმების საქმის“ შეწყვეტა მისგან იყო ინიციირებული და არა ბერიასაგან: „ნახეთ გვიანდელი საკითხები, ექიმების საკითხები – ეს ხომ სამარცხვინო საქმეა ჩვენთვის, ეს ხომ სიყალბეა...“

არადა, სამარცხვინო იყო არა უდავოდ ბევრ ცოდვაში დამნაშავე ექიმების დაპატიმრება, არამედ ის, რომ მსგავს ბევრნაირად საეჭვო საქმოსნებს ჰქონდათ მინდობილი სახელმწიფო ხელმძღვანელთა ჯანმრთელობა; და ამ საძრახისი ფაქტის მიჩქმალვა პირველ ყოვლისა ნიკიტასთვის იყო ხელსაყრელი.

საერთოდ კი პლენუმი გაიხსნა მალენკოვის გამოსვლით, რომელმაც ვერ შესძლო სამსჯავროსთვის საჭირო ტონის მიცემა – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე უხალისოდ, დუნედ ლაპარაკობდა... ყველაზე მკვახე გამოთქმა, რაც მან „განსასჯელისთვის“ მონახა, ეს „ავანტიურისტია“.

ასე რომ, სამდღიანი ქმედების ნაღდ ამოსავალ წერტილად იქცა ხრუშჩოვის გამოსვლა. „სამდღიანს“ იმიტომ ვამბობ, რომ პლენუმი ფორმალურად გრძელდებოდა 2-დან 7 ივლისამდე, ფაქტობრივად კი ორდღიანი შესვენებით მოეწყო – 5 ივლისს შაბათი მოუწია, 6 ივლისს – კვირადღე...

პლენუმის მთელ „მუშაობას“ ტონი ნიკიტამ მისცა თავისი სიტყვით, რომლის დასაწყისშივე აგრძნობინა ყველას – არც გამოთქმების შერჩევის მხრივ, არც გამონაგონების მხრივ არ მოგერიდოთ, ოღონდ ეს ბერია გაშავდესო.

და გაუგო კიდევაც ყველამ... პლენუმზე არც ერთი, კეთილი რა არის, ოდნავ ობიექტური სიტყვაც არ თქმულა იმაზე, ვინც ეფექტიანად ებრძოდა კონტრრევოლუციას 1920-დან 1930-იან წლებში, ვინც ამდენი ძალა მოახმარა საბჭოთა ამიერკავკასიის განვითარებას, სსრ კავშირის შინაგანი ძალების სახალხო კომისარიატის გარდაქმნას, გერმანული აგრესიის მოგერიებასა და გამარჯვების უზრუნველყოფას; იმაზე, ვინც თავის თავზე აიღო ვეებერთელა პასუხისმგებლობა საურანო და სარაკეტო პრობლემებზე, ხოლო სტალინის გარდაცვალების შემდეგ თავი გამოიჩინა ყველაზე აქტიურ, ინიციატივიან სახელმწიფოებრივ ლიდერად, რომელსაც ესმის ეპოქის არსი.

თუმცა არა, მოლოტოვმა აი, რა თქვა:

„... ის დიდ სამუშაოს ასრულებდა, ის ნიჭიერად მუშაობდა არაერთი სამეურნეო ღონისძიების ორგანიზებაში...“, მაგრამ იქვე დასძინა: „ოღონდ ჩვენ ხომ მავნებლებსაც ვიყენებთ, ვაიძულებთ მუშაობას...“

პლენუმის შესახებ ოფიციალურ ანგარიშში კი მოლოტოვის სიტყვის ეს ნაწილი გამოიყურებოდა უკვე უფრო პოლიტკორექტულად:

„არ შეიძლება უარყოფა მისი ორგანიზაციული ნიჭისა, რამაც თავი იჩინა რამდენიმე სამეურნეო ღონისძიების ორგანიზებასა და ჩატარებაში...“

დიახ, მოლოტოვმა, ისე როგორც მალენკოვმა, ვერ შეძლო მხილებათა საჭირო „გრადუსამდე“ ამაღლება და სიტყვის დასაწყისში კიდევაც აღიარა: „როცა 9 მარტს (სტალინის სიკვდილის შემდეგ – ს.კ.ძ უმაღლესი საბჭო უნდა შეკრებილიყო, მე ამხანაგურად დავურეკე ბერიას. ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ ვამხანაგობდით...“

ამრიგად, ჯერ კიდევ 1953 წელს 9 მარტს „მურტალი“ და „აყროლებული ბაღლინჯო“ ლავრენტი პავლოვიჩი (ასეთი გამოთქმებიც იკისრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმაძ ამხანაგი გახლდათ ვიაჩესლავ მიხაილოვიჩისათვის, რომელმაც ამასთან ერთად თურმე ომამდეც იცოდა, რომ ინტრიგანია, მოსკოვში გამეფებული იმ ამხანაგობის ატმოსფეროს მომწამვლელი, რაიც იქ ბერიას ჩასვლამდე სუფევდა...

მართლაც რომ საკვირველნი არიან, უფალო, საქმენი შენნი კი არა, არამედ შენთა ქმნილებათა!..

ხრუშჩოვის სიტყვა კამერტონად იქცა და ყველა დანარჩენი მასზე აეწყო... ამასთან, უფრო ნაკლებად ხელმძღვანელი ამხანაგების (პრეზიდიუმის წევრზე დაბალი დონისაძ შეთანხმებული ტონალობა გვაფიქრებინებს, რომ იმათთვის არ დაუკლიათ „ფასეული მითითებები“ ნიკიტას ცკ-ის აპარატში...

არა, გენაცვათ, არც ისე იოლად ყოფილა ყველაფერი ბერიას დაპატიმრებასა და მის წინააღმდეგ შეთქმულებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც სტალინის წინააღმდეგ შეთქმულებასთან; და ხრუშჩოვიც კი, ალბათ, არ ყოფილა ინტრიგის ნამდვილი ზამბარა... აქ, ალბათ, უნდა ვილაპარაკოთ იმ აგენტების გავლენაზე, რომელთა რიცხვი რუსეთში პეტრესშემდგომ დროთაგან სულ იზრდებოდა და იზრდებოდა...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-152

თუმცა დავბრუნდეთ კრემლის სხდომათა დარბაზში... ცკ-ის პრეზიდიუმის წევრთაგან მალენკოვის, მოლოტოვისა და ხრუშჩოვის გარდა, გამოვიდნენ ბულგანინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი... გაივლის ოთხი წელი და ყველანი (აგრეთვე პერვუხინი და საბუროვი), მიქოიანისა და, ბუნებრივია, ხრუშჩოვის გამოკლებით, გამოვლენ ხრუშჩოვის ვოლუნტარიზმის წინააღმდეგ; და იქვე მიიწებებენ „ანტიპარტიული ჯგუფის" იარლიყს; და ნიკიტა სერგეევიჩი ნომენკლატურის შემწეობით ახალ სახელმწიფო გადატრიალებას მოაწყობს; და გაუსწორდება ყოფილ კოლეგებს, ოღონდ უკვე ფიზიკური ლიკვიდაციის გარეშე. ცოცხალი ბერია სახიფათო იყო ჩამოგდებულიც კი – ის პიროვნება გახლდათ. დანარჩენები კი...

ამა თუ იმ ზომით უსახელოდ დაასრულებენ ლავრენტი პავლოვიჩის სხვა „ბრალმდებლებიც": ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ანდრიანოვი, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპარტიათა პირველი მდივნები ბაგიროვი, მირცხულავა და არუთინოვი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბაქრაძე, სკკპ-ის და ცკ-ის მდივნები მიხაილოვი და შატალინი, შინაგან საქმეთა მინისტრი კრუგლოვი.

ზოგიერთებს გადააყენებენ, სხვებს მკვეთრად დააქვეითებენ, ბაგიროვს სულაც დააპატიმრებენ და დახვრეტენ. განსაკუთრებით მკაცრად „გადაუხდის მადლობას" ნიკიტა გლეხის შვილს სერგეი კრუგლოვს...

მოგვიანებით შსს-ს გენერალი სუდოპლატოვი წერდა: „გენერლები ეიტინგონი, რაიხმანი, ჩემთან ერთად, მაშინვე მიხვდნენ, რომ არ არსებობს არავითარი ბერიას შეთქმულება, იყო ანტიბერიული შეთქმულება ქვეყნის ხელმძღვანელობაში..."

საკითხავია, მაინც რატომ არ მიიყვანეს ლავრენტი პავლოვიჩი პლენუმზე? პასუხი აშკარაა: სხდომათა დარბაზში შეკრებილთაგან ძალიან ბევრი და პირველ რიგში ცკ-ის პრეზიდიუმის წევრები ასე თუ ისე იცნობდნენ მას ერთად მუშაობით და სულის სიღრმეში აღიარებდნენ, რომ მუშაობისა და კრიზისული სიტუაციების გაკონტროლების უნარით მთელი თავით დაბლა არიან „ლპ"-ზე; და თუ ის „ცოცხლად" აღმოჩნდებოდა „განსასჯელთა სკამზე", ეგებ ყველაფერი სწრაფად დალაგებულიყო! და სულაც არაა გამორიცხული, რომ ამ სკამზე გადაჯდომა მოუწევდათ ზოგ-ზოგს პრეზიდიუმიდან.

იმავე ხრუშჩოვის გამოსვლაც ხომ იმდენად არათანამიმდევრული, უთავბოლო, ყალბი იყო, რომ ბერიას სულაც არ გაუჭირდებოდა მისი გაქარწყლება, აგრეთვე – ყველა სხვა „ბრალმდებლისა". პლენუმის მონაწილეთა შორის კი არა მარტო პარტოკრატები იყვნენ, არამედ საქმის კაციც როდი იყო ცოტა.

ამიტომაც ნიკიტამ თავის სიტყვაში ეგებ ხარს რქებში ვერ წაავლო ხელები, მაგრამ ვირებს ყურებში – კი, თანაც ერთბაშად და მკვეთრად... მისი „ლოგიკურობის" მაგალითი რამდენიც გნებავთ, იმდენია...

უნდა შევნიშნოთ, რომ პლენუმზე გამოსვლები არცთუ ბრიყვულად შეურჩევიათ, ეს სავსებით გასაგები პრინციპით გააკეთეს. აბა, კარგი რა უნდა ეთქვათ ლავრენტიზე მისგან „დაზარალებულ" სერდიუკს, პატოლიჩევს, კირიჩენკოს ანდა აღმოსავლურად მოქნილ არუთინოვს, ბაქრაძეს, კეცხოველს, მირცხულავას?

„ლპ"-ის ცილისწამებას არც ახლადგამომცხვარი „ატომური" მინისტრი ვიაჩესლავ მალიშევი მოერიდა – ურანის პროექტში ადრე შედარებით მეორეხარისხოვანი ფიგურა; თუმცა არანაკლებ საზიზღრად ავყიაობდა ბერიაზე მისი კოლეგა შსს-სა და სპეცკომიტეტში, ურანის პრობლემაში თვალსაჩინო ფიგურა ავრაამ ზავენიაგინი.

მანამდე კი მალენკოვს, „ლპ"-ის „ატომური" საქმიანობის შეხებისას, ერთი სიტყვითაც არ აღუნიშნავს მისი წვლილი ატომურ სამუშაოთა წარმატებაში, სამაგიეროდ განაცხადა:

„მან ცკ-ისა და მთავრობის დაუკითხავად მიიღო გადაწყვეტილება წყალბადის ბომბის აფეთქების თაობაზე. განა საჭიროა ამ ფაქტის მნიშვნელობაზე ლაპარაკი".

იგულისხმება ჩვენი (საბჭოური) პირველი თერმობირთვული ბომბი, რომლითაც მალენკოვი საჯაროდ ტრაბახობდა ერთი თვის მერე, 5 აგვისტოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე, სადაც მაშინ თქვა: „ამერიკელი იმპერიალისტები გვაშინებენ ზეიარაღით – წყალბადის ბომბით; თუ ხათრი აქვთ, ნუ გვაშინებენ, ჩვენ არა მარტო ვიცით წყალბადის ბომბის საიდუმლო, არამედ შევქმენით კიდევაც იგი".

ამასთან, გამოცდა მხოლოდ 12 აგვისტოს შედგა და წარმატება ავტომატურად გარანტირებული არ ყოფილა... მალენკოვი სპეციფიკურ ატომურ საკითხებში გახლდათ დილეტანტი, განსხვავებით ბერიასაგან, დილეტანტი, რომელიც სათანადო ინფორმაციაზე დროზე ადრე უნდა დაეშვა... „ლპ" კი უმაღლეს ხელმძღვანელობაში ერთადერთი იყო, რომელსაც ბირთვულ სფეროში საკითხების კომპეტენტურად გადაჭრის უნარი შესწევდა. მაშ ცკ-ისა და მთავრობის რა იგნორირებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი...

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ „ქარიშხლისა და შეტევის" პირველ პერიოდში მეატომეებს ყველაფერს მიაბოძებდნენ, რასაც კი ისინი ითხოვდნენ და ამან ბევრი გარყვნა, რასთანაც ლავრენტი პავლოვიჩი 1950-იანი წლების დასაწყისში უკვე იწყებდა ბრძოლას და მართალიც გახლდათ! ატომური დარგის ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები უკვე შექმნილი იყო და ახლა მოითხოვებოდა ამ სფეროში მოღვაწეობის მაქსიმალური ოპტიმიზირება, ბირთვული შეიარაღების პრობლემებისადმი როგორც რაციონალური სამხედრო, ისე სამხედრო-პოლიტიკური მიდგომების გამომუშავება...

თარგმნა
**თამაზ ებანოიძემ**

(გაგრძელება იქნება)



**დილარ ივარდავა**

# უსტარი სადადიანოს

ჩაუქრა თბილისს ცეცხლი კოლხელთა,
არ ისმის ჩქამი მძაფრი ვოკალის,
მამულს სჭირდება ამ დროს მოხედვა,
დავდუმებულვართ, ღმერთო, მომკალი!
უუძველესი იბერთა მიწა
წელში ვაგლახად ვინღა გატეხა?!
თურმე სულეთი გადაეფხრიწა,
ხელი დარია სასოწარკვეთამ!
ოხრად ბერდება ქვეყნად ყოველი,
(კოროზიისგან ფოლადს ვერ იხსნი),
თუ ჩაინავლა სული ცხოველი,
გამყინვარდება ძარღვებში სისხლი!
ცაში მფრთოვანი –
არწივის ტოლი
ოცნებაც ერთ დღეს რომ დაიღლება,
უწინ ალმასად მბრწყინავი ტომი,
ბოლო აკორდით დათარიღდება.
სიძაბუნეა, რაც სჭირთ კოლხელებს,
აბა, სხვა ჭირი რა შეეყარათ: –
მეგრი ცოდვილობს გახდეს მოხელე,
ლუკმად აქციოს მთელი ქვეყანა!
არა და... მათ ხომ წიხლი არგუნეს,
ხუთჯერ დალაშქვრით – გარდაცვალება –
ხელში იღებდნენ უნდა აგურებს,
თავში იხლიდნენ შეუბრალებლად!..

...ვატყობ ბოლომდის მართლაც გავფუჭდით,
სულ შეგვიცვალეს სისხლი და ნირი,
ლუკმა პურისთვის ვძვრებით ნაჭუჭში,
და შევირცხვინეთ საქვეყნოდ პირი!

დიდო მოგვებო, ბრძენო პაპანო,
დღევანდელ ჭკუით ვერ დავიკვეხნით,
დია კოლხეთო, ოდეს ზღაპარო,
როდის დაგატყდა საბორზლო მეხი?!
პერსიფეას და აიეტს ვუხმობ,
და-ძმამ სიმართლე ამხილონ იქნებ,
მოულოდნელად, ღალატით, უხმოდ
რად გადემტერნენ კოლხელთა ფიქრებს?!
ვერ დავადგინე აზრის სიცხადე,
ვეღარ არჩევენ უმს და გამომცხვარს,
ტომი, ოდესღაც მართლაც სისხლსავსე,
ვერ უძლებს წამით დღეის გამოცდას!
გაკიდებულნო ბრჭყვიალა ნივთებს,
მხოლოდ სტომაქებს, ვხედავ, ემონვით,
ჩემს ოდობადე ზუგდიდში მითხრეს –
სხეულს გიკორტნით ზრახვა დემონის!

ვერ მოვიცილე სადარდიანო,
ამდენი ურვა თუ გაგონილა,
როგორ აოტა სადადიანო
ჭუპრისთვალებად შთენილ გორილამ!
განუწყვეტელი ქაქანით, ბოდვით
გიჟის მათლაფით ტყუილი ხვრიპეთ,
ვინ არის მიშა, შვილებო, ცოდვის
ერთი უნიჭო ტარტარა ხეპრე!
გამზრდელი მისი „ძია სემია",
თესლი –შურიან ჰაიასტანის,
ურცხვი ასეთი არცა მსმენია,
რას ბოდიალობს,
ხალხს რას ასწავლის!
აყოლილებო, გიჟუას ნათქვამს,
გატენილებო, ქვეყნის ვალებით,
არარაობა სულ მალე შთანგთქავთ
მიშას ტვინის და
მიშას თვალების!
გამოიღვიძეთ! შვილებო ღელვის,
ჭკუას მოუხმეთ დიდ წინაპართა,
თორემ მოსრა და მოსპობა გელით
თბილისის კართან,
კოლხეთის კართან!
გიჟვრაცუათა ნაგრამს და ჯილაგს
აგერ, ახლახან გაუჩნდა ჯილა,
ის ივერიას უღმერთოდ ძირავს
უსასოოს და მიგდებულს ძილად!
...შროშის თიხისგვრად ხართ მოზელილნი,
სულ შეგეცვალათ ფორმა და ნირი,
სადღა იშოვეთ ეგ ვაზელინი,
ვირის ნაყლიდან ასე რომ ყვირით?!
მიშტერებიხართ ზონდერ-ბრიგადებს,
რურუებსა და ახალაიებს, –
არ იფარებენ უკვე პირბადეს,
ლეგიტიმურად კოლხთა არიეს!
არ დაიტოვეთ დღე სახვალიოდ,
მოაშთეთ აზრი,
საღი გონება
და ვიგინდარებს – ახალაიებს,
ზუგდიდელებო, ჰყავხართ მონებად?
გაბოზებული ქალების ნახირს
რომ წაუმძღვარეთ ბავშვები ნიშად;
საქართველოში ხომ ყველგან ნახეს,
როგორ ბღაოდით სვანეთში – „მიშას".
სინდის-ნამუსის გრამი არ შეგრჩათ,
აწ სისულელე დაიგეთ ხუნდად;
„– მტერი ხარ ჩემი, თუ არ ხარ ჩემთან!"
ეს შეგონება გიბოძეს ხურდად!
ძალმომრეობამ დაგრიათ ხელი,
სიბრიყვემ ჭკუა გაგიქროთ ერთობ,
კვლავ ბაცაცების საჯაბო ხვრელი
გამოწკვარამდა კოლხეთში, ღმერთო?
დამსგავსებულნო განწირულ ზვარაკს,
ნუთუ გონებამ არ გაიღვიძა?
ო, სამეგრელოვ, სიბრიყვე გზარავს
და ნაცფაშისტთა გამზრდელი ძიძა!
უუძველესო სისხლო კოლხურო,
ვინ გამოგიღებს გონების ფანჯრებს,
დროა სიჩლუნგის კარი მოხურო,
გეყო ახლახან, რაც დაისაჯე!
წაგშლიათ ძველი სახეც, პროფილიც,
მტრისას, თქვენი გზა რომ იზომება –
თქვენგვარად, ალბათ, პირველყოფილი
კაცი ქვაბულშიც არ აზროვნებდა!
გამოიღვიძეთ, შვილებო ცოდვის,
და დაიბრუნეთ ძველი ღირსება,
არგონავტებმა ბაჯაღლო ზოდი,
ხედავთ? წაჰგვარეს კოლხეთს ისედაც!

ნუღარ ჩაწიხლეთ სინდის-ნამუსი –
მხოლოდ ეგ დარჩა ძველი დიდება,
თორემ ხომ ხედავთ, ბედკრულ მამულში
კაცი კაცს გულით არ ეკიდება!
გამოფიტულან სულ ერთიანად,
ქალიც და კაციც – იქცნენ სატანად, –
კოშმარულ დარდმა კოლხეთიანთა
სიზმრების პირზე დღე-ღამ მატარა!
ეს მიწა, ნეტავ, ვინღა გათვალა,
რომ არ ბოგინობს ჯანსაღი აზრი?!
ამდენ ცალტვინას,
ამდენ ცალთვალას
რა მიშისტური წურბელა აზის?!
რატომ მიჰყვებით წყეულ ბარაბას,
რად გეზიზღებათ ქრისტეს ხსენება,
ნუთუ ვერა გრძნობთ – თქვენი არაბა
მოუსავლეთში ჩაესვენება!
ძალით ატეხილ მიწიერ ცოდვებს
გადააფარეთ შავი წყვდიადი,
...კოლხამ დაბადა დიადი ცოტნე,
ხალხს შეწირული გმირი ზვიადი!
რაღა დავარქვა ზოგთა გაჩენას –
კაცი მოძმისთვის არსებობს აღარ!
დედებმა როგორ გზარდეს ლაჩრებად
და სიძულვილი გარგუნეს დაღად...
ჩაქრობას თქვენსას ვერ დავიჯერებ,
კვლავ გაბრწყინდებით, ნიშნის მოგებით?
არ გამიმწარებთ დუხჭირ სიბერეს,
გაჰყვებით დიდ გზას ბრძენი მოგვების!
გამოგაფხიზლოთ ძველმა ღირსებამ,
ჩარხი სიმართლემ დაატრიალოს,
თორემ სულ მალე გადაივსება
კანიბალებით სადადიანო!

...შენ, დედის დედავ, პირველ ქართველთა,
ნუ ავბედითობ, ჩემო არჩივო,
ბოლო შანსი გაქვს,
ადექ, გათენდა,
საქართველოს მზე გადავარჩინოთ!

2012, ივლისი-აგვისტო

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მილიარდერი სააკაშვილის წინააღმდეგ



**რვა წელიწადზე მეტ ხანს იყო საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი ერთპიროვნული მმართველი. ახლა კი მას ძლევამოსილი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა: მილიარდერმა ივანიშვილმა მომავალ არჩევნებში გამარჯვება დაისახა მიზნად. თუმცა, სამთავრობო აპარატი ბინძური ხერხებით იბრძვის მეტოქის წინააღმდეგ.**

ბიძინა ივანიშვილი ცოტა დაღლილად გამოიყურება. ახლახანს დამთავრდა მისი მრავალპარტიული კოალიციის „ქართული ოცნების რამდენიმესაათიანი სხდომა. პოლიტიკაში ყოფნიდან ათი თვის შემდეგ გამოტყდა: "მე არ მომწონს პოლიტიკოსობა. ის არ შეესაბამება ჩემს ხასიათს".

რვა წლის წინათ თავის ოჯახთან ერთად ის საქართველოს სოფელ ჭორვილაში განმარტოებით ცხოვრობდა. მისი ქონება, რომელიც ჟურნალ „ფორბსის" მიხედვით 6,4 მილიარდი დოლარია, ველურ 1990-იან წლებში რუსეთში დააგროვა. აქედან 650 მილიონი ევრო საქართველოს შესწირა – ინფრასტრუქტურისთვის, ეკლესიებისთვის, ხელოვნებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის. თუმცა, 2011 წლის ოქტომბრამდე არასდროს ჩნდებოდა საზოგადოებაში ღიად, ვიდრე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ არ გამოაცხადა.

### რეფორმების შედეგები და ხარვეზები

**ივანიშვილის გაცხადებული მიზანია სააკაშვილის და მისი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებიდან ჩამოშორება 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებსა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.** მან თავის თავზე აიღო პოლიტიკური ცხოვრების სირთულეები, რადგან ხალხს აქვს უფლება ჰქონდეს მოქმედი დემოკრატიული ინსტიტუტები. ადამიანები ღირსნი არიან ჰყავდეთ ხალხის სამსახურში მყოფი მთავრობა და არა ხელმძღვანელობა, რომელიც მედიას, ეკონომიკას, საზოგადოებას და სასამართლოს აკონტროლებს.

ყოფილი ვარდების რევოლუციონერების მთავრობას, რომელმაც 2004 წელს გადაიბარა ძალაუფლება, მართლაც აქვს წარმატებული რეფორმები გატარებული. მაგრამ არსებობს ხარვეზები. ბრძოლა კორუფციასთან, ადმინისტრაციის სრულყოფა, ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ინფრასტრუქტურის განახლება მნიშვნელოვანი პრობლემების პირისპირ. სამთავრობო პარტიას ძალაუფლება საკუთარ ხელში აქვს მობილიზებული. პოლიტიკოსების ნათესავებს გადამწყვეტი გავლენა აქვთ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში. იუსტიციის რეფორმაც იგვიანებს. განსაკუთრებით ასაკოვანი ადამიანები ქალაქში და სოფლის მოსახლეობა უმუშევარი დარჩა. ისინი ცდილობენ მცირე ვაჭრობით, ტაქსის მძღოლობით ან მიწათმოქმედებით გადაირჩინონ თავი.

### სერიოზული კონკურენცია ხელისუფლებისათვის

**მილიარდერი ივანიშვილი ბადებს იმედებს, მაგრამ სკეპტიციზმსაც. მისი დაპირებებია სოფლის მეურნეობის განვითარება, საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა და გაზრდილი პენსიები. ზუსტად როგორ მოხდება ამის დაფინანსება, ჯერ ბოლომდე გაურკვეველია.** ერთი რამ ცხადია: ადამიანებისთვის ფულის დარიგება, როგორც ის გასულ წლებში აკეთებდა, გრძელვადიანი სტრატეგია არ არის. მისი წარმატება იყო დანაწევრებული ოპოზიციის საკუთარ კოალიციაში გაერთიანება. მისი კოალიციის ოფისები მთელს ქვეყანაშია გახსნილი. მას აქვს გაზეთი, ინტერნეტ-სააგენტო და სატელევიზიო არხი რეპორტიორებით ყველა რეგიონში. ივანიშვილი აფინანსებს ასევე პიარ-აგენტებს და მრჩევლებს, რომლებიც დასავლეთში საქართველოს მთავრობის სამსახურში მყოფ ლობისტებს ებრძვიან.

ივანიშვილი პირველია, რომელიც მმართველი პარტიისთვის სერიოზულ კონკურენტად იქცა. მთავრობა ცდილობს, მილიარდერი პარტიების დაფინანსების ახალი კანონით შეზღუდოს. კონტროლის პალატამ ივანიშვილთან არაპირდაპირ დაკავშირებული ფირმა „გლობალ-ტვ"-ს ათასობით სატელიტური ანტენა დააყადაღა. ივანიშვილი დამატებით ათობით მილიონი ლარით დააჯარიმდა, დროებით ბანკიც ჩამოართვეს. მიზეზი ის იყო, რომ კომპანიამ მოსახლეობას სატელიტური ანტენები თითქოს ფაქტობრივად უფასოდ დაურიგა და ამით ამომრჩევლები მოისყიდა.

### ოპოზიციონერებზე ჯაშუშობა უცხოეთში

**გარდა ამისა შინაგან საქმეთა სამინისტრო ცოტა ხნის წინათ ციურიხში ორ ოპოზიციონერ პოლიტიკოსს უთვალთვალებდა, რომლებიც შვეიცარიაში დევნილობაში მყოფ ქართველ ჟურნალისტს ხვდებოდნენ. თუმცა, მთავრობის სამსახურში მყოფი ორი ჯაშუში საკმაოდ თვალშისაცემად მოქმედებდა. ისინი დააკავეს და სამი კვირის შემდეგ გამოაძევეს საქართველოში, რასაც შვეიცარიის უსაფრთხოების სამსახურებიც ადასტურებენ.**

ოპოზიციონერები და თავისუფალი ჟურნალისტები სულ უფრო ხშირად ჩივიან, რომ მათ ნათესავებს სახელმწიფო სამსახურებიდან ათავისუფლებენ. ეს, უწინარესად, მასწავლებლებს ეხება. ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გიგა ბოკერიას ამის დადასტურება არ სურს. მისი თქმით, სახელმწიფო მოსამსახურეები მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო არ თავისუფლდებიან, თუ ისინი სამსახურის დროს პოლიტიკურ საქმიანობას არ ეწევიან.

### ხელჩართული ბრძოლა და ქვების სროლა

**უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ამასთანავე ირწმუნება, რომ მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა ოპოზიციის დემონსტრაციებმა მშვიდობიანად ჩაიაროს. ყველაზე მეტად გასულ კვირებში პატარა მიტინგების დროს იყო შეხლა-შემოხლა და ქვების სროლაც.** სანამ ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდოდა საქმე, თვითონ ივანიშვილი და მისი თანამშრომლები პირადად ხდებოდნენ შეტევის მსხვერპლნი. თავდამსხმელები ვითომდა სახელმწიფო ინსტიტუციების თანამშრომლები იყვნენ და არა უბრალო დემონსტრანტები. ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ირაკლი ალასანია უფრო დიდი დაპირისპირების საფრთხეზე საუბრობს, უმთავრესად სამეგრელოს რეგიონში, რომელიც სეპარატისტულ აფხაზეთს ესაზღვრება. ის მთავრობას ბრალს სდებს გასამხედროებული დაჯგუფებების შექმნაში, რომლებიც ზეწოლას ახდენენ მოსახლეობაზე. ბოკერია ამასაც უარყოფს. მისი თქმით, ეს მხოლოდ ჯარისთვის შექმნილი რეზერვია.

საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე განწყობა უკვე დაძაბულია და ქვეყანა პოლარიზებული. მნიშვნელოვანი შეკითხვაა ის, თუ რამდენად აღიარებენ მხარეები არჩევნების შედეგებს. დამოუკიდებელი საქართველოს 21-წლიან ისტორიაში ხელისუფლების კონსტიტუციურ ვადებში ცვლილების შემთხვევა ჯერ არ ყოფილა. ივანიშვილის დაპირება ასეთია: „რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ მოვერიდებით ძალადობას. ჩვენ უარს ვიტყვით ქუჩაში გამოსვლაზე (დემონსტრაციის გამართვაზეძ და კანონის დარღვევაზე". ამასთანავე იგი დარწმუნებულია, რომ მისი კოალიციის პარტიები საპარლამენტო მანდატების ორ მესამედს მოიპოვებენ და იგი ოქტომბერში პრემიერ-მინისტრი გახდება. ორივე მხარის მოლოდინი დიდია.

**სილვია შტობერი**
**„tahesschau.de"**

## დედამიწის ზურგზე



მთვრალ ნორვეგიელს რომის აეროპორტში საბაგაჟო ლენტზე ჩაეძინა: ის შენიშნეს მხოლოდ სკანერზე

**ნორვეგიელი, რომელიც ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში იყო, თავისი რეისის მოლოდინში იტალიის დედაქალაქის აეროპორტში ძალღონემიხდილი მიწვა საბაგაჟო ლენტზე და მკვდარივით დაეძინა. როდესაც ბილიკმა დაიწყო მოძრაობა, 36 წლის მამაკაცი კვლავ აგრძელებდა ძილს. აეროპორტ ფიუმიჩინოს შესაბამისი სამსახურების მიერ შეუმჩნეველმა ტურისტმა ლენტაზე გაიარა დაახლოებით 50 მეტრი, სანამ 15 წუთის შემდეგ არ აღმოჩნდა ძლიერი სკანერის წინაშე, რომელიც ჩემოდნების შიგთავსებს ამოწმებდა.**

* * *

ბრაზილიაში ორი მეზღვაური დაიღუპა, ერთ-ერთი მათგანი რუსეთელია



**მეზღვაურები დაიღუპნენ აფეთქების შედეგად, რომელიც ერთ-ერთ ხომალდზე მოხდა პარანაგუას ნავსადგურში ბრაზილიის სამხრეთით. აფეთქება მოხდა როდესაც მეზღვაურები – რუსეთელი და ფილიპინელი – შედუღების სამუშაოებს აწარმოებდნენ. წინასწარი ვერსიით, გემბანზე აფეთქდა გაზის ბალონი.**

* * *

ფილიპინებზე ძლიერი წყალდიდობის მსხვერპლი 49 კაცი გახდა



**სულ ორი დღე-ღამის განმავლობაში ამ კვირას ფილიპინების დედაქალაქში მოვიდა ნალექების თვის ნორმაზე მეტი. მაშველები იძულებული იყვნენ მოეხდინათ ხალხის პირდაპირ ქუჩიდან ევაკუირება, რომლებიც წყალში ყელამდე იდგნენ. ყოველწლიურად ივნისიდან დეკემბრამდე, ფილიპინის არქიპელაგს თავს ესხმის დაახლოებით 20 გრიგალი და ტაიფუნი.**

* * *

იზრდება აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის ნიკ რომნის უარყოფითი რეიტინგი

**ამის შესახებ მოწმობს გამოკითხვის შედეგები, რომელიც ტელეარხმა სი-ენ-ენ-მა შეუკვეთა. ამ დროს ობამას უარყოფითი რეიტინგი ივლისთან შედარებით პრაქტიკულად არ შეცვლილა (იყო 44 პროცენტი, გახდა 42 პროცენტი), მაშინ, როდესაც რომნისა – გაიზარდა 42-დან 48 პროცენტამდე. ობამას ნდობის რეიტინგი 52 პროცენტს შეადგენს.**



## გამოკითხვა

# კრეგ სმიტი: „როცა ადამიანები პასუხის გაცემისგან თავს იკავებენ, ისინი ოპოზიციას უჭერენ მხარს"

(მეოთხე გვერდიდან)

გარდა ამისა, ე.წ. საარჩევნო კამპანიის სიმულაციით ჩატარებულმა გამოკითხვამ ტრადიციულად აჩვენა, რომ საქართველოში ინსტიტუციებს შორის სანდოობით გამოირჩევა ეკლესია (93%ძ, პატრული (82%ძ, პოლიცია (69%ძ...

**– ფიქრობთ, რომ საარჩევნო კამპანიის სიმულაციის მეთოდის გამოყენებამ საქართველოში გაამართლა?**

– ჩემი აზრით, არჩევნების სიმულაცია ასეთ ქვეყნებში უფრო ზუსტ შედეგს იძლევა, რადგან მაღალია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ ამა თუ იმ პოლიტიკოსისა და არჩევნებში კონკრეტული პირისთვის ხმის მიცემის შესახებ კონკრეტული პასუხი არ აქვთ. NDI-ს გამოკლვევას თუ ავიღებთ, სადაც ბევრი ადამიანი პასუხის გაცემისგან თავს იკავებს და მის კომბინირებას მოვახდენთ, ვინც „ქართულ ოცნებას" უჭერს მხარს, ეს გვიჩვენებს სტატისტიკურ ჩიხს. ისტორია გვიჩვენებს და ხშირად ასევე ხდება სხვა ქვეყნებში, როცა ადამიანები პასუხის გაცემისგან თავს იკავებენ, ისინი ოპოზიციას უჭერენ მხარს. მაგალითად, შარშან ალბანეთში არჩევნების წინ მოსახლეობის გამოკითხვა ჩავატარეთ, 95 %-მა აზრის წინასწარ დაფიქსირებაზე უარი განაცხადა. მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ ყველამ ხმა მისცა ოპოზიციას.

**– რა დაგანახათ ამ გამოკვლევამ?**

– ეს მონაცემები გავუგზავნე აშშ-ში, NDI-ს, IRI-სთისაც მინდოდა ხმა მიმეწვდინა, მაგრამ ქალაქში არ აღმოჩნდა. ფაქტობრივად, ეს არის გამოკვლევა, ეს არის სტატისტიკური მონაცემებით დატვირთული რგოლა. გამოვლინდა, რომ შემცირდა ისეთი ამომრჩეველის რაოდენობა, რომლებსაც ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, თუ ვის მისცემს ხმას; გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, თბილისში კი ამომრჩეველთა გადაწყვეტილების ტენდენცია გამოვლინდა და „ქართული ოცნება" იმარჯვებს.

**– NDI-ს, IRI-ს კვლევებთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია როგორია, რადგანაც გამოითქვა აზრი, რომ საქართველოში მოსახლეობა დაშინებულია და საერთოდ არ ღირს სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარება.**

– სწორედ ამიტომაც არ დავიშურეთ ძალისხმევა, რომ გამოგვეყენებინა ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც შეამცირებდა ან აღმოფხვრიდა ამ შიშის ფაქტორს, ამიტომაც დავარიგეთ გასაიდუმლოებული ფურცლები, კონვერტები და შევქმენით არჩევნების იმიტაცია. საქართველოში შიშის ფაქტორის შესახებ წარმოდგენა ჩვენი გამოკვლევის შედეგად კი არ შევიქმენით, არამედ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, სწორედ NDI-ს, IRI-ს კვლევების საფუძველზე, სადაც იმ რესპონდენტების უზარმაზარი რაოდენობაა, რომლებიც უარს ამბობენ პასუხის გაცემაზე. ეს არის პირდაპირი ჩვენება იმისა, რომ გარკვეული შიში არსებობს.

**– არსებობს აზრი, რომ უცხოური კომპანიების (NDI-ს, IRI-ს) მხრიდან ჩატარებული გამოკვლევები სახელმწიფოს დაკვეთაა და გავლენას მოახდენს არჩევნებზე.**

– არ ვიცი, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

**– მაშინ ის მაინც გვითხარით, თავად თუ ენდობით NDI-სა და IRI-ს კვლებს?**

– მე საქართველოს პოლიტიკაში ვერ ვერკვევი და არ ვიცი.

**მარიამ ლოლაშვილი**

ეს უნდა ვიცოდეთ!

# მავნებელია თუ არა სურსათის დანამატები?

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ წლევანდელი 10 ივლისის ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი, რომელშიც მოგახსენებდით კვების პროდუქტების დანამატების შესახებ. ახლა მოგაწვდით საინტერესო დამატებით ინფორმაციას ამ თემასთან დაკავშირებით, რადგან იგი მთელს მსოფლიოში მეტად აქტუალურია და ბევრი მკითხველის ინტერესს იწვევს.**

ბავშვებში, განსაკუთრებით პატარა ბიჭებსა და მოზრდილ გოგონებში, მოუსვენრობა, ყურადღების მოდუნება, ზოგიერთში უმიზეზო გაღიზიანება იმდენად გახშირდა, რომ ეს ფაქტები ფსიქოლოგებისა და ექიმი-ფსიქიატრების ყურადღებისა და კვლევის საგანი გახდა.

1970 წელს ამერიკელი ალერგოლოგი ბენ ფეინგოლდი თავისი კვლევებით მივიდა დასკვნამდე, რომ ბავშვის საკვებიდან საჭირო იყო სინთეტური დანამატების, უწინარესად საკვები საღებავების გამორიცხვა და, წარმოიდგინეთ, შედეგმაც არ დააყოვნა: ბავშვთა ხასიათი და ქცევა მოწესრიგდა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ფეინგოლდი ამტკიცებდა, რომ კვების დანამატები და წამლები იდენტურია და ისინი დაბალმოლეკულარულ ნივთიერებებს მიეკუთვნებიან, ამიტომ კვების დანამატებს არ გაუვლიათ ის ფარმაკოლოგიური გამოკვლევები, რომელთაც გადიან წამლები, მხოლოდ გამოკვლევების შემდგომ რომ რეგისტრირდებიან მოხმარებისთვის. სწორედ ამიტომ მეცნიერი მივიდა დასკვნამდე, რომ ასეთი



კვების დანამატები მოქმედებდა ბავშვის ტვინზე, როგორც აღმგზნებები და მათზე უარის თქმა თავიდან აგვაშორებდა ჰიპერაქტიურობას. სამწუხაროდ, 1982 წელს ფეინგოლდი გარდაიცვალა და ამ მიმართებით 2004 წლამდე კვლევები პრაქტიკულად შეწყდა.

2004 წელს აშშ-ს საუტგეპტონის უნივერსიტეტში განაახლეს ძიება და ექსპერიმენტები ამ მიმართულებით და ექვსი ფერის საკვების საღებავებზე და ერთ კონსერვანტზე დაადასტურეს ფეინგოლდის ექსპერიმენტების სისწორე, განსაკუთრებით მჭახეფერებიან კვების საღებავებზე (ისინი სხვადასხვა კანფეტებზე და ნაყინებში, მარმალადებზე და საკონდიტრო ნაწარმშია ხშირად გამოყენებული).

უნდა აღინიშნოს, რომ კვების პროდუქტების დამამზადებელი ტრანსნაციონალური ფირმები და მაგნატები ერთიანი ფრონტით ამტკიცებდნენ, ეს კვლევები არასრულყოფილია, კვლევები ცუდად არის ჩატარებული, საჭიროა ახალი კვლევა და ძიება ამ მიმართულებითო და აცხადებდნენ, მარილის, შაქრისა და ცხიმების დიდი რაოდენობით გამოყენება უფრო მავნებელიაო (რაც ასევე აქტუალურია), მაგრამ ეს ძირითადი თემისგან გადასახვევად ხორციელდებოდა.

უნდა ითქვას, რომ ძლიერმა რეკლამამ და ძლიერი ფირმების განცხადებებმა რამდენიმე წლით ჩააქრო ხანძარი ამ მიმართულებით. საკმაოდ ცნობილი ფირმები დღესაც იყენებენ სხვადასხვა დანამატებს, რაც უთუოდ კომერციასთან არის დაკავშირებული (კონსერვანტების გარეშე მოცულობებზე ლაპარაკი ზედმეტია), თუმცა ინგლისის კვების სტანდარტების სააგენტომ თავისი ეგიდით კონტროლქვეშ აიყვანა გამოკვლევები, რომლებიც 3 წელიწადი მიმდინარეობდა და მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ დანამატებსა და კონსერვანტებთან დაკავშირებით მისაღებია გადამჭრელი ზომები. ინგლისელმა ჩინოვნიკებმა საკითხი ევროკავშირის წინაშეც დასვეს და კვლევის შედეგებიც წარუდგინეს. ამავე დროს აქტუალური თანამშრომლობა დაიწყო კვების პროდუქტების დამამზადებლებთან ერთად, რათა მათ ხელი აეღოთ ფერად ქიმიაზე.

ამის შემდგომ ამ საკითხებში ევროპარლამენტარებიც ჩაერთნენ და პროცესი უფრო გაფართოვდა. თუმცა უამრავი ფირმა კვლავ მოიხმარს სხვადასხვა ქიმიურ დანამატს და ასიმეტრიულ წარწერებსაც უკეთებს თავის პროდუქციას. მაგალითად „პროდუქტი ნეგატიურად მოქმედებს ბავშვის აქტიურობასა და ყურადღებაზე“. ასეთივე წარწერები და აღნიშვნები გაჩნდა ამერიკაში, ავ-



სტრალიასა და აზიაში დამზადებულ კვების პროდუქტებზე, სხვადასხვა ფირმების პროდუქტებში, მაგალითად, ამერიკაში 6 სახეობის საღებავიდან 3 საერთოდ აკრძალეს. საინტერესო კვლევა ამ მიმართებით განხორციელდა რუსეთში, სადაც სუპერმარკეტებსა და ჰიპერმარკეტებში შესწავლილი ბავშვთა დრაჟე, კარამელები, მრავალნაირი მარმელადი, სალეჭი კანფეტები, რომლებიც დამზადებულია ტრანსნაციონალურ კომპანიებში, ქიმიური დანამატებით არის დამზადებული. მრავალი რუსული კომპანიაც მოიხმარს ქიმიურ დანამატებს. და ეს იმ დროს, როდესაც ონიშჩენკოს უწყება, შეგახსენებთ, ქართულ ბორჯომს და სხვა ნატურალურ პროდუქტს იწუნებდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული.

მრავალი დასავლური ფირმა იძულებული გახდა, გადასულიყო ნატურალური დანამატების ხმარებაზე (მაგ. კურკუმინი, ანტიცინი, ქლოროფილი, ჭარხლის საღებავი), თუმცა კვლავ განაგრძობენ ხელოვნური არომატიზატორების გამოყენებას, რაც ეწინააღმდეგება ევროპულს. არის ჰიბრიდებიც – სალეჭი კანფეტი „სტარბურსტი“, რომელიც დამზადებულია ნატურალური საღებავებით (ვერონაში), ხოლო ამავე ფირმის მარმელადი დამზადებულია რუსეთში სინთეტური საღებავებით. სხვათა შორის, არც ერთი გაფრთხილდება რუსეთის სანიტარიული სამსახურიდან ამის შესახებ არა გვსმენია. ამ ქვეყანაში ფერად ქიმიას კვლავაც გამოიყენებენ, თავად ონიშჩენკო კი აცხადებს, რომ საღებავების აკრძალვა არ შეუძლია, რადგანაც ფორმალურად ევროპა კვლავ მოიხმარს ზუსტად ასეთივე საღებავებს.

„ნატურალურ“ დანამატებსა და საღებავებზე მეტად საინტერესო გამოკვლევები აქვს აკადემიკოს რამაზ გახოკიძეს, რომელმაც გამოუშვა წიგნი „კვების ბიოქიმია“. ამ მიმართულებით მუშაობენ ექსპერიმენტატორები – პროფესორები, რევაზ იაშვილი, თამაზ მეგრელიძე, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია, რომელთა შრომები ნატურალური დანამატების გამოყენების მხრივ ყურადღებას იმსახურებენ. ამ თემასთან დაკავშირებით, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ერთ-ერთი საინტერესო დისერტაციის ოპონენტიც კი გახლდით, რაც იმის დასტურია, რომ დასმულ საკითხებს საქართველოშიც სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა, მიმაჩნია, რომ პურპროდუქტებისა და საკონდიტრო ნაწარმის სფეროში პროფესიონალიზმს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, იმ ტენდერებში, სადაც ლაპარაკია ბავშვთა კვებაზე და საბავშვო დაწესებულებების მომარაგებაზე. თუმცა, თუ ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ვინც „გუშინ“ დაიწყო მუშაობა, სწორედ ის გახდა გამარჯვებული, რაც მეტად საწყენია. საბავშვო ორგანიზაციების კვების პროდუქტებით მომარაგება მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეულ ნიუანსს, თუნდაც მარილის, საფუარის, შაქრის მოხმარების ნორმების დაცვას, რომ აღარაფერი ვთქვათ უამრავ დანამატზე, რომელიც ჩვენს ბაზარზეც შემოვიდა და მას ბევრი გაუთვითცნობიერებელი დამამზადებელი იყენებს. სწორედ ამიტომ კონკურსგარეშეა ადგილობრივი ნატურალური პროდუქტების გამოყენება და დამზადება, მით უმეტეს, რომ საქართველო მდიდარია ბიოფლავონოიდებით (მცენარეული დანამატებით), რომელთაც ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრები მოიხმარდნენ.

კვლავაც გავიმეორებ, პატივი ვცეთ ჩვენს მიწაზე მოყვანილ და დამზადებულ პროდუქციას. წარმოიდგინეთ, იტალიასა და საბერძნეთში გამომცხვარი ნამცხვარი რა დროში ჩამოდის საქართველოში და შემდეგ თაროზე რამდენ ხანს ელოდება მომხმარებელს. რის ხარჯზე, პასუხი გასაგებია!

### სად და როგორ ვექებოთ ქიმიური საღებავები?

**დააკვირდით შეფუთვებს, სადაც E ასოთი აღინიშნება დანამატები. ამ პრეპარატებს საუმტბემპტომის ექვსეულს უწოდებენ.**

**E 102 – ტარტარაზინი, ყვითელი, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინები, სასმელები.**
**E 104 – ქინოლინი, ყვითელი, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინები, სასმელები.**
**E 110 – ჩამავალი მზის ფერი, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი, თევზის პროდუქტი.**

**ზემოთ მოყვანილი სამი საღებავი აკრძალულია ამერიკაში.**

**E 122 – აზორიებინი (კარმუაზინი), წითელი, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი, წვენები.**
**E 124 – პონსო (პუნცოვი 4R), წითელი და პუნცოვი, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი, სასმელი, თევზის პროდუქტი.**
**E 129 – წითელი (მომხიბლავი AC) წითელი და ლაჟღაჟა, საკონდიტრო ნაწარმი, სასმელი.**
**E 211 – ბენზოატნატარია კონსერვანტი, წვენები, თევზის პროდუქტი, მაიონეზი, მარგარინი.**

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

„სად წაიყვან სადაურსა“

## ფელიქს ვარლამიშვილი
(1903-1986)

კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“

**საფრანგეთში მოღვაწე მხატვარი, უცხოეთში „ვარლად“ ცნობილი. დაიბადა საქართველოში, ქალაქ ქუთაისში. 1920 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, საიდანაც ორი წლის შემდეგ სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა. აკადემიადამთავრებულმა თბილისში საკუთარი სამხატვრო სკოლა დააარსა.**



1928 წელს ის საზღვარგარეთ მიემგზავრება, ერთხანს სტამბოლში ცხოვრობს, ხოლო 1929-ში პარიზში გადადის და მონპარნასზე მკვიდრდება. 1948-ში მხატვარი არგენტინაში გადასახლდა, სადაც ორი წლის შემდეგ საკუთარი ნამუშევრების გამოფენა მოაწყო (ბუენოს-აირესში).

ფელიქს ვარლამიშვილი 1952 წელს საფრანგეთში დაბრუნდა და კვლავ მონპარნასზე დასახლდა. იმისი ნახატების თემატიკად საქართველო, სამშობლოს კოლორიტი და ხიბლი დარჩა, უცხოეთში გატარებული მრავალი წლის მიუხედავად. „ჩემი მხატვრული სტილი სწორედ ამ თემატიკამ განსაზღვრაო“, ამბობდა. ხელოვანის ნამუშევრებმა წარმატებით მოიარეს მსოფლიოს არაერთი ქვეყნის საგამოფენო დარბაზები და ბევრი მუზეუმისა და კერძო კოლექციის საკუთრებად იქცნენ.

პარიზში გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, ნეშტი დაწვეს და ფერფლი ქართველთა სასაფლაოს მიაბარეს დაბა ლევილში. მხატვრის ქვრივმა ზირე ბინდერმა შეასრულა ქმრის დანაბარები და ნახატების ნაწილი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადმოსცა.

მოამზადა
თამაზ ეზანოიძემ

ინფორმაცია

### მოძრაობის შეზღუდვა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე

**როგორც** თბილისის მერიაში განმარტავენ, შეზღუდვების დაწესება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობას უკავშირდება.

10-დან 13 აგვისტოს ჩათვლით, შეიზღუდება გადაადგილება მშრალი ხიდიდან გალაკტიონის ხიდის მიმართულებით, რადგან ამ მონაკვეთზე გზის გაფართოება მიმდინარეობს.

სატრანსპორტო საშუალებებს გადაადგილება შეეძლებათ ზაარბრიუკენის მოედნიდან მარცხენა სანაპიროს მიმართულებით.

### მცირეწლოვნები – დამწვრობის ცენტრში

**საგარეჯოს** სამედიცინო ცენტრიდან და-ძმა, 2 და 5 წლის ლუკა და ნანა ლ-შვილები კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადამ თბილისში, დამწვრობის ცენტრში გადაიყვანა. ბავშვებმა სხეულის დამწვრობა ცხელი კერძის გადასხმით მიიღეს, როდესაც ელექტროქურასთან თამაშისას, სადენს შეეხნენ და მასზე მდგარი ცხელი კერძი ზედ გადაესხათ. ექიმების თქმით ერთ-ერთი მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო.

ინტერპრესი

## კალათბურთი

# ალბათ, კიდევ მოვუმატებთ!..




**საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა თბილისის სპორტის სასახლეში გამართული ოთხთა საერთაშორისო ტურნირი მოიგო, რომელშიც მასპინძელთა გარდა უკრაინა, ბელარუსი და ესტონეთი მონაწილეობდნენ.**

იგორ კოკოშკოვის გუნდმა სამივე მოწინააღმდეგე დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხა – 99:76 ბელარუსი, 84:71 ესტონეთი და 95:69 უკრაინა. მეორე ადგილისთვის ბრძოლაში ბელარუსმა ოვერტაიმში აჯობა ესტონეთს, ხოლო უკრაინა სამივე თამაშის წაგების შემდეგ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

ქართველთა სერბმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა ოთხთა ტურნირზე 13 მოთამაშე გამოსცადა, თუმცა გაფართოებულ შემადგენლობაში რამდენიმე ახალგაზრდა კალათბურთელიც დარჩა, რომელთაც თამაშის საშუალება არ მიეცათ. სავარაუდოდ, ისინი ოფიციალურ განაცხადს მიღმა დარჩებიან.

კოკოშკოვმა ერთმანეთს შეუნაცვლა ორი ამერიკელი ნატურალიზებული გამთამაშებელი – ჯეიკობ პულენი და კორი ფიშერი და მათ შორის არჩევანის გაკეთება მოუწევს. 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე ნათამაშები გუნდიდან დღეს შემადგენლობაშია 7 მოთამაშე – კაპიტანი ზაზა ფაჩულია, ვიქტორ სანიკიძე, მანუჩარ მარკოიშვილი, თორნიკე შენგელია, გიორგი ცინცაძე, გიორგი შერმადინი და ანატოლი ბოისა.



საუკეთესო ფორმაშია თორნიკე შენგელია, რომელმაც სამ მატჩში საშუალოდ 22 ქულა მოაგროვა, საშუალოდ 13 ქულა გააკეთა მარკოიშვილმა, სანიკიძემ – 12,7, ხოლო ფაჩულიამ – 11,7.

მათ გარდა ოთხთა ტურნირზე ითამაშეს ბესიკ ლეჟავამ, ლევან ფაცაციამ, ნიკა მეტრეველმა და ბექა ბექაურმა.

საქართველოს ნაკრები კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს – 13 აგვისტოს ლაიფციგში გერმანიის ნაკრებთან, შემდეგ კი 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაერთვება, რომელიც რუმინეთთან 18 აგვისტოს თბილისური მატჩით იწყება.

**კოტე ტუღუში, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი:** „ამხანაგური თამაშები ყოველთვის მნიშვნელოვანია. ამ დროს მწვრთნელები სხვადასხვა ტაქტიკურ მონაცემებს ამუშავებენ ხოლმე. ეს ტურნირი ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ძლიერ დაგვეხმარება, რადგან 3 თამაში მოვიგეთ და თავდაჯერებულობა შეგვემატა“.

**მანუჩარ მარკოიშვილი, საქართველოს ნაკრების მოთამაშე:** „ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტურნირი იყო. თამაშში არსებული პრობლემებიც შევამცირეთ – დაცვა გავაძლიერეთ. იმედია, პროგრესი გაგრძელდება და 18 აგვისტოსთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებით“.

**თორნიკე შენგელია, საქართველოს ნაკრების მოთამაშე:** „ამხანაგურ შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გუნდს ოფიციალური მატჩებისთვის მზადებაში ეხმარება. აქვე აღვნიშნავ, რომ შევთამაშდით და დიდი პროგრესი გვაქვს. რაც შემეხება მე, ყველა შეხვედრაში მაქსიმალურად დავიხარჯე“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ფეხბურთი



# „დილა“ მოგებისა

**ფეხბურთის ისტორიას მრავლად ახსოვს ფაქტები, როცა ევროტურნირების მონაწილე გუნდს საკუთარ მინდორზე ჩაფლავებული საქმე სტუმრად გამოუსწორებია და ორრაუნდიანი დუელი თავის სასარგებლოდ დაუმთავრებია.**

ამიერიდან მათ რიცხვს გორის „დილა“ შეუერთდა, რომელიც, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ერთი კვირის წინათ ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე კვიპროსის ქალაქ ფამაგუსტას „ანორთოსისთან“ განცდილი მარცხის შემდეგ – 0:1 გამოტირებული გვყავდა.

**„ანორთოსისი“ – „დილა“ 0:3 (0:0).**

**გოლები:** ვაწაძე – 2, სალუქვაძე.

პირველ ნახევარში კუნძულელები ისე ენერგიულად გვიტევდნენ, კაცი ვერ წარმოიდგენდა, რომ ყველაფერი ლარნაკას სტადიონის დარბევით დასრულდებოდა.

სხვათა შორის, ანგარიში ისეთ ვითარებაში გაიხსნა, რომელიც თამაშგარე მდგომარეობას ჰგავდა, რამაც ზოგ-ზოგიერთებს ჭორაობის საფუძველი მისცა, ლონიერი პატრონით ზურგმოცემულ ქართულ კლუბს თამაში ნაყიდი ჰქონდაო (ხომ გაგიგონიათ – ენას ძვალი არა აქვსო). მათ გასაგონად ვიტყვით: გააგრძელეთ ანალოგიურ სტილში ქილიკი, ეროვნული თასის მფლობელი კი ნეტავ უფრო წინ წავიდეს და ევროპის ლიგის ჯგუფურ ტურნირში გავიდეს.

**დანარჩენი შედეგები:** „ვიტესი“ – **„ანჟი“** 0:2 (0:2), **„ბურსა“** – „კუოპიო“ 6:0 (0:1), **„მურა“** – კიევის „არსენალი“ 0:2 (3:0), „ლეხი“ – **აიკი** 1:0 (0:3), „ალესუნდი“ – **„აპოელი“** 0:1 (1:2), **„იანგ ბოიზი“** – „კალმარი“ 3:0 (0:1), **„ლეგია“** – „რიდი“ 3:1 (1:2), **„პლზენი“** – „რუხი“ – 5:0 (2:0), დონეცკის „მეტალურგი“ – **„ტრომსო“** 0:1 (1:1), **პაოკი** – „იეჰუდა“ 4:1 (2:0), ბუქარესტის „რაპიდი“ – **„ჰერენვენი“** 1:0 (0:4), **„რუსენბორგი“** – „სერვეტი“ 0:0 (1:1), „ტრნავა“ – **„სტიაუა“** 0:3 (1:0), „მლადა“ – **„ტვენტე“** 0:2 (0:2), **„მარიტიმუ“** – „ასტერასი“ 0:0 (1:1), **„ლივერპული“** – „გომელი“ 3:0 (1:0), „აქტობე“ – **„გენკი“** 1:2 (1:2), „ელფსბორგი“ – **„ჰორსენსი“** 2:3 (1:1), „ომონია“ – **„ცრვენა ზვეზდა“** 0:0 (0:0, პენალტებით – 5:6, „გენტი“ – **„ვიდეოტონი“** 0:3 (0:1), **მოსკოვის „დინამო“** – „დანდი იუნაიტედი“ 5:0 (2:2), **„მარსელი“** – „ესკიშეჰირსფორი“ 3:0 (1:1), **„ინტერი“** – „ჰაიდუკი“ 0:2 (3:0), **„ჰანოვერი“** – „სენტ პატრიკსი“ 2:0 (3:0), „სლავენი“ – **„ბილბაო“** 2:1 (1:3), **„ზეტა“** – „სარაევო“ 1:0 (1:2), **ვენის „რაპიდი“** – „ვოივოდინა“ 2:0 (1:2), **„სპარტა“** – „ადმირა“ 2:2 (2:0).

* * *

**გუშინ გამართულმა კენჭისყრამ გორელთა მორიგ მეტოქედ პორტუგალიის „მარიტიმუ“ დაასახელა (23 და 30 აგვისტო).**

**გიორგი შოთაძე**



## წყალბურთი

# „ლიგამუსი“ - ევროპულ ელიტაში

**ყაზანში 1996 წელს დაბადებულ წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრებმა ორი შეხვედრა მოიგო (უკრაინასთან და ყაზახეთთან), ამდენივე დათმო (რუსეთთან და თურქეთთან), ბოსნიას დაუზავდა (9:9) და მე-4 ადგილზე გავიდა. ხუთი მოგებით პირველობა მასპინძლებს – რუსებს ხვდათ, მეორე-მესამე ადგილები ბოსნიელებმა და თურქებმა გაინაწილეს. ტურნირის საუკეთესო წყალბურთელად საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ანდრო ბითაძე აღიარეს...**

წლეულს მესამედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა თბილისის „ლიგამუსმა“. კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გუნდმა ევროპის ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზოს. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს „ლიგამუსი“ თბილისში გაივლის. საქართველოს ჩემპიონს 13-16 სექტემბერს ესპანეთის „საბადელი“, ბელარუსის „ვიტებსკი“ და პოლონეთის „ალკოლია“ დაუპირისპირდებიან. ორი საუკეთესო მომდევნო ეტაპზე ითამაშებს.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება. ეს შეჯიბრება წლეულს გვიან შემოდგომით დაიწყება. ჩვენი ბიჭები F ჯგუფში თურქებსა და ბელარუსებს შეხვდებიან. 2012 წელს მხოლოდ ორი ტური გაიმართება – 7 ნოემბერსა და 12 დეკემბერს. დანარჩენ ჯგუფებში საკვალიფიკაციო ეტაპზე გუნდები ასე განაწილდნენ:

A **ჯგუფი.** ესპანეთი, მალტა, უკრაინა.

B **ჯგუფი.** ჰოლანდია, სლოვაკეთი, პოლონეთი, დანია.

C **ჯგუფი.** ხორვატეთი, რუსეთი, პორტუგალია.

D **ჯგუფი.** რუმინეთი, სლოვენია, ისრაელი,

E **ჯგუფი.** მაკედონია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი.

**ლექსო ცინცაძე**



## ჩოგბურთი



# ბურსას და პეჩინგენსაც დაემშვიდობნენ

**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი მონრეალის საერთაშორისო ტურნირის როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა შეჯიბრებებს სტარტზევე გამოეთიშა.**

გერმანული პეჩინგენის 25.000-იან ტურნირს დაემშვიდობა ეკატერინე გორგოძე, რომელიც მეორე წრეში მერვანა სალკიჩთან (ბოსნია-ჰერცეგოვინა) დამარცხდა – 6:3, 3:6, 4:6. ეკატერინე გორგოძისა და სოფიო ქვაცაბაიას წყვილი მერვანა სალკიჩისა და სანდრა კლემენშიტსის (ავსტრია) დუეტს დანებდა – 1:6, 4:6.

ბურსაში (თურქეთი) ქალთა 10.000-იანი ტურნირის მეოთხედფინალში ბაზილინა მაჩაიძისა და ნურია პარისასდიასის ინტერნაციონალურმა წყვილმა კამილა ფარჰადთან (აზერბაიჯანი) და საბინა შარიპოვასთან (უზბეკეთი) წააგო – 1:6, 3:6.

**ლაშა დიდია**

## ჭადრაკი

# ქალებში ჯერჯერობით მეორეა

**ჰოლანდიაში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში სხვადასხვა ქვეყნის 246 წარმომადგენელი ჩაება. განვლილ შვიდ ტურში მასპინძელმა დიმიტრი რინდერმანმა 6,5 ქულა მოაგროვა და ერთპიროვნულად ლიდერობს.** მე-7 ტურში მან უკრაინელი ილია ნიჟნიკი დაამარცხა. ასევე წარმატებით ითამაშეს ჟილ პოპილსკიმ (ისრაელი), ბარის ესენმა (თურქეთი) და სტიუარტ ჰალსინჯერმა (ინგლისი), რომლებმაც, შესაბამისად, სურია სანგული (ინდოეთი), სანდერ ვან ფიკი (ჰოლანდია), ალფონსო პერესი (ესპანეთი) დაამარცხეს და 6-6 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ.

ხუთ ქულას მოუყარა თავი ქართველმა დიდოსტატმა სოფიკო გურამიშვილმა, რომელიც მე-7 ტურში იოჰანა აფეკს (ისრაელი) დაუზავდა. ტურნირის მონაწილე ქალთაგან მას მხოლოდ ინდოელი ჰარიკა დრონავალი უსწრებს ნახევარი ქულით.

**გივი გაგუა**

◎ გაწუკითხაობა

# რატომ არის ხაზინა ცარიელი?

**ნებისმიერი ქვეყნის ბიუჯეტი ადგილობრივი მოქალაქეების მოსაკრებლებით ივსება. ამიტომაცაა იგი თითოეული მოქალაქის საკუთრება ისევე, როგორც ჩინოვნიკისა და პრეზიდენტისა. მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას მოსახლეობა მხოლოდ ხაზინის შევსებამდე ახსოვს. შემდეგ კი ის ნაციონალების ხელშია და ნაცების გარდა, მასზე ხელი არავის მიუწვდება.**

## უაზროდ გაცემული პრემიები

პრეზიდენტის მითითებით, სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგი უნდა გამხდარიყო და მისი განვითარებისთვის უნდა გამოყოფილიყო 150 მლნ ლარი. პროექტი ჩავარდა. თანხა ვერ მოიძებნა, სამაგიეროდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძველი თუ ახალი ხელმძღვანელობა ყბადაღებული „ქამრების მოჭერის" ნაცვლად ბიუჯეტის თანხებს არამიზნობრივად ხარჯავს და გაუგებარი მიზეზებით თავის აპარატის თანამშრომლებს პრემიებით აჯილდოებს.

**„სამინისტროს სახელმწიფო პროგრამის „ღვინის ლაბორატორიული კვლევის ფარგლებში" გამოყოფილი აქვს 110 ათასი ლარი, საიდანაც მხოლოდ 2800 ლარია ათვისებული. დანარჩენის ასავალ-დასავალი უცნობია. ამავე პროგრამიდან გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია და „სოფლის მეურნეობის დარგების გამოფენის მოწყობის ღონისძიებებისთვის" გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი 27 500 ლარი სხვა დარგებზე კი არ გადაეცათ, არამედ უშუალოდ სამინისტროს თანამშრომლებზე პრემიებად დაურიგეს.**

**ასევე არამიზნობრივად (პრემიების სახით) გაიცა ენერგეტიკის სამინისტროში ბიუჯეტიდან მაღალმთიან რეგიონებში ელექტროენერგიის მომარაგების გაუმჯობესებისთვის გამოყოფილი სახსრები.**

**მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელისთვის ბიუჯეტის სახსრებით შეძენილია სამი ძვირადღირებული მანქანა — 2010 წელს გამოშვებული ჯიპი „შკოდა სკაუტი" და 2011 წელს გამოშვებული „ტოიოტა ლენდ კრუიზერი". კიდევ ერთი ძვირადღირებული მანქანა „ტოიოტა კოროლა" ემსახურება „შეფის" ოჯახს. სახელმწიფო თანხებით შეძენილი ძვირადღირებული მანქანები ემსახურებიან ამავე სააგენტოს უფროსის მოადგილეებს, სამსახურის უფროსებს და ხელმძღვანელობის ფავორიტი განყოფილებების უფროსებს. საერთო ჯამში მათი საერთო ღირებულება მილიონ 500 ათს ლარს აღემატება. თანხები მთლიანად ბიუჯეტიდანაა გაცემული.**

**არასამთავრობოები ამტკიცებენ, რომ სააგენტომ მარტო მივლინებებში 90 ათასი ლარი გახარჯა და უკვირთ, რა საჭირო იყო ოქსფორდისა და სხვა პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ამ უწყების მრავალრიცხოვანი ჯგუფების მივლინება გამოცდილების გაზიარების მიზნით, როდესაც სააგენტოს თანამშრომლებს ძირითადად ტრანსპორტზე სახელმწიფო ნიშნების გაცემა ევალებათ?** მით უმეტეს, რომ მივლინებულთაგან ბევრმა ინგლისური ენა საერთოდ არ იცის?

მაშინ, როდესაც ხელისუფლება საქვეყნოდ „ქამრების მოჭერას" ქადაგებს, პარალელურად, არჩევნების მოახლოებისას, ხელფასებს უმატებს საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს. ახალი მხარდამჭერების მოზიდვის მიზნით, გაჩნდა შტატგარეშე თანამშრომელთა ინსტიტუტი. **ამგვარ თანამშრომლებზე სხვადასხვა სამინისტროში გაცემულია 24.100 ათასი.** მათ მივლინებეშიც აგზავნიან. რაზეც კონტროლის პალატის მონაცემებით **24 900 ლარია გაცემული.** თუმცა შემმოწმებლებმა ვერსად მიაგნეს დოკუმენტს, თუ რა ეკონომიკური სარგებელი მოიტანა, ან შემდეგში მოიტანს ამგვარი მივლინებები.

**ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურებს სხვა საქონელსა და მომსახურებაზე დახარჯული აქვთ 42.800 ათასი ლარი, ოფისებზე — 54 600 ათასი ლარი.** ფული ძირითადად ინტერიერის განახლებასა და რემონტებზე იხარჯება. იმავე კონტროლის პალატის დასკვნით, შესყიდვებზე მოლაპარაკებები ძირითადად ერთ პირთან იმართება, რაც გამორიცხავს ბიუჯეტის მართვის გამჭვირვალობას. ექსპერტთა უმრავლესობა კი ამას ჩინოვნიკთა მხრიდან ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს.

არასამთავრობოების დასკვნით, ფინანსთა სამინისტრო საშინაო ვალებს კანონის სრული უგულებელყოფით ჩამოწერს. სამინისტროს არა აქვს დებულება ვალის რეესტრის წარმოებისა და სახელმწიფო წარმოების შესახებ. **ამის გამო სახელმწიფოს შიდა ვალებიდან ჩამოწერილი 157 263.500 ლარიდან, ექსპერტთა ვარაუდით, დიდი ნაწილი ჩინოვნიკთა ჯიბეებში დაილექა.**

მონიტორინგის ჩამტარებელთ მიაჩნიათ, რომ სამინისტროებმა არ იციან, თუ საიდან რა თანხებს ღებულობენ დაქვემდებარებული უწყებები. არც ის იციან, როგორ იხარჯება ისინი. ფინანსურ ანგარიშებს აკონტროლებენ მექანიკურად, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე. კიდევ უფრო რთული ვითარებაა გრანტებში. ქვემდებარე ორგანიზაციები მათ სამინისტროების გვერდის ავლით ღებულობენ. ამის გამო მხარჯავი ორგანიზაციების ფაქტობრივ და საკასო ხარჯებს შორის (ჯანდაცვა, ენერგეტიკა, განათლება, ბუნების დაცვაძ დიდი განსხვავებაა.

არასრული, ნახევრადგასაიდუმლოებულია საჯარიმო სანქციებით შემოსულ თანხებზე ინფორმაცია. საერთოდ, უცნობია ცნობები მათ ხარჯვით ნაწილზე.

**მომხდარი დარღვევებისა და სხვათა შესახებ პარლამენტს აცნობეს როგორც კონტროლის პალატამ, ისე არასამთავრობოებმა (არაერთგზის), მაგრამ ნაცუმრავლესობამ ის „ცნობად მიიღო". სხვათა შორის, მოწოდებულ ინფორმაციებზე აჟიოტაჟი არც ე. წ. „საპარლამენტო უმცირესობას" აუტეხავს.**

ბიუჯეტი, არის კანონი, მისი დამრღვევი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ისჯება. იმას, რომ კანონი იგნორირებულია და „ნაცთა" ელიტა თავისუფლად აფათურებს ხელს ქვეყნის ბიუჯეტში და საკუთარი ყულაბა ჰგონია, ხოლო ქვეყანა სააკაშვილის ტაშ-ფანდურისა და ახირებების შემყურე ცხოვრობს, ექსპერტთა აზრით, მოგვცა ის შედეგი, რომ ხელისუფლება ვერ ძებნის თანხებს სტიქიით დაზარალებული თანამოქალაქეების დასახმარებლად. ხაზინა ცარიელია!

**ზაზა ბილიხოძე**

სანთელი

## დოდო მგელაძის ხსოვნას



12 აგვისტო შენი დაბადების დღეა. სასიხარულო მოლოდინით ველოდით მის დადგომას. შენი ამქვეყნიდან გარიდების შემდეგ შვიდი წელი გავიდა და ეს დღე ცრემლიანი და ტკივილიანი გახდა უშენოდ. წელს 70 წელი შეგისრულდებოდა.

მუდმივ სითბოს და სიყვარულს გამოსცემდი და გამორჩეული ურთიერთობის ნიჭი გქონდა, ძვირფასო დოდო. გვახსოვს შენი თხოვნა, ჩვენი მწუხარებით არ შევაწუხოთ გარშემომყოფნიო, ვცდილობთ, ასე მოვიქცეთ. უფალს შევთხოვთ, მარადიულ სიმშვიდეში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

**ძმა გურამი, რძალი ნუნუ გამცემლიძე, ძმისწულები გოგი, კოკა მგელაძეები ოჯახებით**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ თევზაძის შვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**გელა თევზაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**თენგიზ ქავთარაძე, თემურ, თენგიზ კუჭუხიძეები, ზაურ ფხალაძე, როლანდ გაბრიჩიძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ნანული, ლელა გაბრიჩიძეებს დედის**

**თინა აბულაძე-გაბრიჩიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

◎ ინფორმაცია



## ქუთაისის ქუჩები დაიტბორა

**გუშინწინდელი ძლიერი წვიმის შედეგად ქუთაისის ქუჩები დაიტბორა. როგორც „ინტერპრესნიუსის„ კორესპონდენტი იუწყება, განსაკუთრებით რიონის სანაპიროზე მდებარე წერეთლისა და ფოთის ქუჩები დაიტბორა. მოსახლეობას სარდაფებში და სახლების პირველ სართულზე წყალი შეუვარდა. მოსახლეობას მნიშვნელოვანი ზარალი არ განუცდია.**

## მიწისძვრა საქართველოში

**როგორც „ინტერპრესნიუსს" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრში განუცხადეს, მიწისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი ამბროლაურის რაიონში იყო და სიძლიერემ 2,8 მაგნიტუდა შეადგინა. მიწისძვრა თბილისის დროით 01:32 საათზე მოხდა.**

**როგორც სეისმური მონიტორინგის ცენტრში აცხადებენ, მიწისქვეშა ბიძგები მხოლოდ ეპიცენტრის ახლომდებარე სოფლებში იგრძნობოდა და, სისუსტის გამო, ნგრევას ვერ გამოიწვევდა.**

ინტერპრესნიუსი

---

შეტყობინება

## სააქციო საზოგადოების მორიგი საერთო კრების მოწვევისა და საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ

სს „იბერია უძრავი ქონებას" სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი იწვევენ აქციონერებს საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2012 წლის 31 აგვისტოს 11 საათზე ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ.№49ა-ში მდებარე სააქციო საზოგადოების ოფისში.

სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც იქნება 2012 წლის 24 აგვისტოს, რომლის სამუშაო დროის დასრულების მდგომარეობით განისაზღვრება კრებაში მონაწილეობის უფლებამოსილ აქციონერებთა სია.

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების გაზრდა; საზოგადოების დირექტორის გადარჩევა;
2. კომპანიის რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „იბერია უძრავი ქონების" დირექტორთან. დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორისგან როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილი იქნა დირექტორთან 2012 წლის 27 აგვისტომდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

**საზოგადოების დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას იძლევა, რომ**

1. საზოგადოების სამეთვალყურეო წევრისათვის დირექტორად დანიშვნის უფლებამოსილების მინიჭება განაპირობებს საზოგადოების უფრო ეფექტურ და პროდუქტიულ მუშაობას;
2. იქედან გამომდინარე, რომ OPIC-ი განიხილავს საზოგადოების რეაბილიტაციის საკითხს და ასევე თავად საზოგადოება ცდილობს, მოიძიოს რეაბილიტაციის ყველა შესაძლო ალტერნატივა, აუცილებელია, საზოგადოებამ მიიღოს ქმედითი გადაწყვეტილებები რათა მაქსიმალურად იქნეს შესრულებული კრედიტორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

საზოგადოების დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო თვლის, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებები საშუალებას მისცემს საზოგადოებას ახალი და პერსპექტიული გეგმების განსავითარებლად.

**პატივისცემით,**
**რამაზ მოსაშვილი**
**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.**

**ლევან თელია,**
**დირექტორი**

## ჩვენი კარაბადინი

### ბავშვები – გაციების საწინააღმდეგო საშუალება

**ხშირად მოავადმყოფე ბავშვების მშობლები უფრო ნაკლებად მოწყვლადები არიან ვირუსების წინაშე, ვიდრე ისინი, ვისაც ბავშვები ჯერ არა ჰყავთ. ამერიკის შეერთებული შტატებიდან მეცნიერების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მშობლებს გაციებით დაავადების რისკი 52 პროცენტით ნაკლები აქვთ, ვიდრე მათ, ვისაც ჯერ არ ჰყავს შთამომავლობა.**



**თანაც დედებისა და მამების ორგანიზმის დამცველი თავისებურებანი უმჯობესდება ბავშვების ოდენობის პროპორციულად.** მაგალითად, ერთი ან ორი ბავშვის მშობლები 48 პროცენტით ნაკლებად არიან მგრძნობელები ვირუსებისადმი, სამი და მეტი ბავშვისა კი – 61 პროცენტით. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს ხდება მშობელთა არა იმუნური სისტემის განმტკიცების გამო ვირუსების მუდმივი შემოტევებთან დაკავშირებით, არამედ ეგრეთ წოდებული „მორალური სიმყარის“ წყალობით, რომელიც გამოწვეულია დედობისა და მამობის ფსიქოლოგიური უპირატესობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახი, სოციალური კავშირურთიერთობანი ამტკიცებენ ადამიანის არა მარტო სულიერ, არამედ ფიზიკურ ჯანმრთელობასაც, რაც უკვე დადასტურდა გამოკვლევებით ხანდაზმულებთან. მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ უფრო დიდხანს ცოცხლობენ არა მხოლოდ ისინი, ვინც იცავს ჯანსაღი კვების წესებს და მისდევს სპორტს, არამედ ისინიც, ვინც სოციალურად აქტიურია და მჭიდრო კონტაქტში არიან საკუთარ ოჯახებთან.

ბრიტანეთის სასექსის უნივერსიტეტის მეცნიერმა დევიდ ლიუისმა გამოიგონა იდეალური დასვენების ფორმულა. ამ ფორმულის თანახმად, იდეალური დასვენება არის სამდღიანი შვებულება მაქსიმალური რეაქციით, თანამედროვე საზრუნავების მინიმუმით და სახლიდან არაუმეტეს ოთხი საათის დაშორებით. „მხედველობაში თუ მივიღებთ იმას, რომ ადამიანი შვებულებაში ყოფნის დროს ბევრ კაპრიზს ნებდება – ზედმეტი მზიდან ზედმეტ ჭამამდე და სასმელების ბოროტად გამოყენებამდე, – უფრო ხანგრძლივი შვებულება ნიშნავს მეტ პოტენციურ რისკს ჯანმრთელობისთვის“, – მიაჩნია დევიდ ლიუისს.

### სახიფათო კავშირები

**საყვარელთან სექსის დროს ცოლიანი მამაკაცების სიკვდილის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე ცოლთან სიყვარულის დროს, მიაჩნიათ იტალიელ მეცნიერებს.**



**მკვლევართა სიტყვებით, ცოლიანი მამაკაცი ღალატის დროს განიცდის ძლიერ სტრესს, რაც ხშირად უარყოფითად აისახება მის ჯანმრთელობაზე. მას იწვევს სინდისის ქენჯნა, დანაშაულის გრძნობა, აგრეთვე შიში, რომ ვერ აუბამს მხარს ახალ სექსუალურ პარტნიორს. ეს იწვევს გულ-სისხლძარღვთა დაავადების პროვოცირებას, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ ინფარქტთან და ჰიპერტონიულ კრიზთან.**

კიდევ ერთი საფრთხე – ეს არის რომანტიკული ვახშმები. ამ დროს მამაკაცები არ იცავენ დიეტას, ღებულობენ ალკოჰოლს და მიირთმევენ ნოყიერ, მძიმე კერძებს. ასეთმა ვახშმებმა, ექსპერტების აზრით, შეიძლება ბევრი დაავადების გამწვავება გამოიწვიოს.

იტალიელი სპეციალისტების დასკვნებს ადასტურებენ გერმანელი ექიმებიც. მათ დაადგინეს, რომ საყვარელთან სექსის დროს სიკვდილის ყოველი მესამე შემთხვევა გამოწვეულია არტერიული წნევის ამაღლებით, რომლებიც პროვოცირებული იყო სტრესებით, გადაღლით, აგრეთვე ალკოჰოლითა და ცხიმიანი საკვებით.

### გული გტკივათ – უმკურნალეთ ღვიძლს

**ერთ-ერთი მკითხველი გვეკითხება: მოვისმინე, რომ ზოგიერთი გულ-სისხლძარღვთა დაავადება, შეიძლება გახდეს ღვიძლის დაავადების განვითარების მიზეზი. ასეა ეს? და კერძოდ გულის რომელი დაავადებანი ავნებენ ღვიძლს? რა სიმპტომებით შეიძლება გავიგოთ, რომ ღვიძლს რაღაც უჭირს?**



გვიპასუხებს ექიმი-კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ კავსაძე:

– ღვიძლში მიყურჩებული მოვლენები შეინიშნება გულის ყველა თანდაყოლილ და შეძენილ დაავადებებში, რომლებიც იწვევენ გულის უკმარისობის განვითარებას. ღვიძლის ფუნქციების დარღვევა შეინიშნება იმ ადამიანებში, ვისაც აწუხებს გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტონია, გულის რევმატული დაავადება, თანდაყოლილი სენები და ა. შ. ამ ურთიერთკავშირის მიზეზი ის არის, რომ გულის ტუმბოს ფუნქციის დარღვევას მივყავართ სისხლის შედედებასთან თირკმელების ვენების დონეზე.

დარღვევების ძირითადი მაჩვენებლები ღვიძლის მუშაობაში, უწინარეს ყოვლისა, არის გულის რევა და პირღებინება, კანის მოყვითალო ან მონაცრისფრო ფერი, სიმწარე პირში, შარდის ფერის გამუქება და დიარეა. ძალიან ხშირად გვხვდება ჩივილები ყრუ ტკივილებზე ღვიძლის მიდამოებში. ამ დროს ტკივილები ძლიერდება მოძრაობითი აქტივობის გაზრდასთან ერთად, აქვთ ყრუ ტკივილის ხასიათი და შეიძლება ეს გადაეცემოდეს ზურგში და მარჯვენა ბეჭში. სიმპტომებს შორის შეიძლება იყოს მეტეორიზმი და ცხიმიანი პროდუქტების აუტანლობა, სისუსტე და მადის დაკარგვა – ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტული დაავადების სახეზე და მისი განვითარების სტადიაზე.

ЗДОРОВЬЕ

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ–გაზეთებიდან



#### კახეთში სააკაშვილის დასანახად, მხოლოდ გზისპირა სახლები გადახურეს

სტიქიიდან 22-ე დღეს კახეთის ბევრ სოფელში, მათ შორის, ვაჩნაძიანსა და კალაურში სახლები, რომლებსაც კრამიტის სახურავი ჰქონდათ, ისევ გადასახურია. სახურავებზე ბრეზენტია გადაფარებული, ფანჯრებზე კი ცელოფანის პარკები აქვთ აკრული. მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. ისინი ამბობენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები სიტყვიერ დახმარებას კი ჰპირდებიან, მაგრამ რეალურად არავინ არაფერს აკეთებს, „ვინც გზის შიგნით ვართ, ყურადღება არ მოგვაქციეს, მეორე ეტაპის ბრძანება როგორც მოგვივა, შევაკეთებთო. როდის? ყველამ დაიხურა ქუდი და წავიდა ისე, რომ ჩვენთვის მაინც არაფერი არ არის“ – ამბობენ დაზარალებულები.

„რეზონანსი“.

#### „ომის დღეებში საქართველოდან გაქცეულთა შორის უშიშროების საბჭოს მდივანიც იყო“

ჟურნალისტთა კითხვას, თუ რატომ არ გამოჩნდა ამ დღეებში გმირთა არც ერთ მემორიალთან ბიძინა ივანიშვილი, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მანანა კობახიძე უპასუხებს. – ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის იყო იქ, სადაც უნდა ყოფილიყო. ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა იმ მაღალჩინოსანთა სია, რომლებიც 2008 წლის 7 და 8 აგვისტოს წითელ ხიდზე ერთმანეთს ასწრებდნენ, ვინ გაიქცეოდა ამქვეყნიდან. სამწუხაროდ, ამ პირებიდან ერთ-ერთი უშიშროების საბჭოს მდივანია. არიან მაღალი თანამდებობის პირები, დეპუტატები... ამიტომ ივანიშვილს არანაირი უხერხულობა არა აქვს, რადგან ის იყო ყოველთვის იქ, სადაც უნდა ყოფილიყო. 2008 წლის აგვისტოშიც თავის ქვეყანაში იყო, ქვეყანაზე ფიქრობდა, 2012 წლის აგვისტოშიც თავის ქვეყანაშია და ხალხზე ზრუნავს.

„ახალი თაობა“.

#### „საზოგადოებრივ მაუწყებელს ვაიძულებ, ჩემი ფილმი აჩვენოს!“

„ამომრჩეველთა ლიგის“ წევრმა, ოპოზიციონერმა რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობა დაასრულა. – ფილმს ეთერში შესული საარჩევნო კამპანიის დროს, სექტემბერში ვაჩვენებ და მთელ მსოფლიოს ფაქტებით ვაჩვენებ მოქმედი რეჟიმის სახეს, – აცხადებს რეჟისორი, რომელიც, სხვათა შორის, ერთადერთია, ვინც სამოქალაქო ომის კადრები ისტორიას შემოუნახა. – დარწმუნებული ვარ, საზოგადოებრივ მაუწყებელს ვაიძულებ, რომ ჩემი ფილმი აჩვენოს. მას ფულს ჩვენი მოსახლეობა უხდის, ამიტომ ვალდებულია, ხალხის ინტერესი დააკმაყოფილოს, – ამბობს გოგა ხაინდრავა.

„ვერსია“.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**ბიძინამ** ოქროს თევზი დაიჭირა და ტრადიციისამებრ, სურვილის შესრულება სთხოვა, რომელთა მოსმენის შემდეგ ოქროს თევზი იძულებული, გახდა თავი მოემკვდარუნებინა.

* * *

**მიცვალებული** ისეთი მახინჯი იყო, ჭირისუფალი სამზარეულოდან დასტიროდა.

* * *

– **დიეტაზე** ვარ, უნდა გავხდე.
– დიდი ხანია?
– უკვე სამი საათია.
– ჰო, გეტყობა უკვე.
– ჰოო?!
ხო, დამშეული თვალები გაქვს.



* * *

– **ადრე** თუ გვიან, ყველა მოვკვდებით. რომ შეგეძლოს, როგორ სიკვდილს აირჩევდი?
– პაპაჩემივით, მშვიდად, ძილში.
– როგორს არ აირჩევდი?
პაპაჩემის თვითმფრინავის მგზავრებს რომ ჰქონდათ, ისეთს.

* * *

– **ექიმო**, გაიყვანეთ ჩემი მეზობელი აქედან! – ყვირის ტიპი ფსიქიატრიული საავადმყოფოს პალატიდან.
– რომელი?
– აი ის, მოტოციკლეტი რომ ჰგონია თავი.
– ძრავის ხმაური გაწუხებს?
– არა, გამონაბოლქვი გაზები.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77;
599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24